თენგიზ ირემაძე



# იოანე პეტრიწის ფილოსოფია

თენგიზ ირემაძე

# იოანე პეტრიწის ფილოსოფია

საქ. - ბათუმის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა № 61506

Tengiz Iremadze

# IOANE PETRITSI'S PHILOSOPHY

თბილისი 2021 Tbilisi

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი არქივი

NEW GEORGIAN UNIVERSITY
Archive of Caucasian Philosophy and Theology

**რედაქტორები:** პროფესორი, დოქტორი **ლალი ზაქარაძე**
პროფესორი, დოქტორი **გიორგი ხუროშვილი**

**Editors:** Prof. Dr. **Lali Zakaradze**
Prof. Dr. **Giorgi Khuroshvili**

**რეცენზენტები:** პროფესორი, დოქტორი **მიხეილ გოგატიშვილი**
პროფესორი, დოქტორი **უდო რაინჰოლდ იეკი**

**Reviewers:** Prof. Dr. **Mikheil Gogatishvili**
Prof. Dr. **Udo Reinhold Jeck**

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**

Cover design and Book layout: **Giorgi Bagrationi**

პირველი გამოცემა, 2021
First Edition, 2021

© კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი არქივი, 2021

© Archive of Caucasian Philosophy and Theology, 2021

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში", 2021

ISBN 978-9941-8-3091-4

# სარჩევი


წინათქმა . . . . . 5

§ 1. შესავალი . . . . . 9

§ 2. როგორ უნდა გავიგოთ
იოანე პეტრიწის ფილოსოფია? . . . . . 15

§ 3. იოანე პეტრიწი და
ფილოსოფიური მემკვიდრეობა . . . . . 31

§ 4. იოანე პეტრიწის მოძღვრება სულის შესახებ . . . . . 47

§ 5. დასკვნა . . . . . 63

შეჯამება (ინგლისურ ენაზე) . . . . . 69

ბიბლიოგრაფია . . . . . 75

სახელთა საძიებელი . . . . . 83

საგანთა საძიებელი . . . . . 89

ავტორის შესახებ . . . . . 91

## CONTENTS

Foreword . . . . . 5

§ 1. Introduction . . . . . 9

§ 2. How to Understand the Philosophy of Ioane Petritsi? . . . . . 15

§ 3. Ioane Petritsi and the Philosophical Heritage . . . . . 31

§ 4. Ioane Petritsi's Doctrine of the Soul . . . . . 47

§ 5. Conclusion . . . . . 63

Summary . . . . . 69

Bibliography . . . . . 75

Author Index . . . . . 83

Subject Index . . . . . 89

About the Author . . . . . 93

# წინათქმა

იოანე პეტრიწი ქართული ფილოსოფიის გამორჩეული ფიგურაა. მის სახელთან დაკავშირებულია ქართული ფილოსოფიური აზროვნების აღმავლობა შუა საუკუნეებში; მისმა ნააზრევმა დიდწილად განსაზღვრა ქართული აზროვნების მომავალი, ხოლო განსაკუთრებული გავლენა კი ახალი დროისა და XX საუკუნის ქართულ ფილოსოფიაზე მოახდინა. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ მისი შემოქმედების მიმართ დღესაც დიდი ინტერესი იგრძნობა.

ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევით არქივში საგანგებო ყურადღება ექცევა იოანე პეტრიწის ნააზრევის შესწავლასა და ანალიზს; გაიმართა არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიება იოანე პეტრიწის ფილოსოფიის შესახებ, რომლის ფარგლებშიც განხილული იყო ამ დიდი ქართველი მოაზროვნის შემოქმედების საკვანძო საკითხები. სასწავლო გეგ-

მები მოიცავს სპეციალურ სასწავლო კურსებს იოანე პეტრიწის ფილოსოფიის შესახებ. გარდა ამისა, საქართველოსა და უცხოეთის წამყვან საგამომცემლო ცენტრებში გამოიცა ამავე ინსტიტუციის მკვლევართა სამეცნიერო სტატიები იოანე პეტრიწის შესახებ.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ზემოთ მითითებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებში მომზადდა. მასში მოცემულია იოანე პეტრიწის ფილოსოფიის ის წახნაგები, რომლებიც აქამდე ნაკლებად იყო წარმოჩენილი. თუმცა, აქ წარმოდგენილი არ არის „თეოლოგიის საწყისების" ქართული თარგმანისა და კომენტარის დაწვრილებითი ანალიზი, არც პროკლესა და იოანე პეტრიწის სააზროვნო მოდელების შეპირისპირებითი განხილვა ფილოსოფიის ისტორიის კონტექსტში. ამ კვლევითი მიმართულების შესახებ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩემი მრავალი გამოკვლევა გამოქვეყნდა ქართულ და უცხო ენებზე (*ამავე წიგნის ბოლოს ამის თაობაზე იხილეთ „ბიბლიოგრაფია"*). ამ ნაშრომის მიზანია იოანე პეტრიწის ორიგინალური ნააზრევისა და ფილოსოფიური კრედოს წინა პლანზე წამოწევა. ამის შედეგად შესაძლებელი გახდება იოა-

ნე პეტრინის საკუთრივი ფილოსოფიური მოძღვრების მოხაზვა და იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე ფილოსოფიისა და ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის კონტექსტში.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში მთავარი ყურადღება ექცევა იოანე პეტრინის მოძღვრებას არსებულისა და შემეცნების შესახებ. არსისა და აზრის ერთიანობის პრინციპი – დაწყებული ელეელი პარმენიდედან – იდეალისტური ფილოსოფიის პრინციპთა პრინციპი იყო, რომელმაც სათანადო ასახვა პოვა როგორც პლატონურ, ასევე ნეოპლატონურ აზროვნებაში. იოანე პეტრინის ფილოსოფიური ნააზრევის სპეციფიკის განსაზღვრის დროს ეს მნიშვნელოვანი ასპექტი არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რადგან პროკლეს ფილოსოფიის ანალიზისა და კომენტარისადმი მიძღვნილი მისი ნაშრომი ანტიკური ფილოსოფიური სიბრძნისმეტყველების ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თეორემას საგანგებო ყურადღებას აქცევს.

**თენგიზ ირემაძე**

*2021 წლის 15 თებერვალი*

# §1. შესავალი

იოანე პეტრიწი (XII ს.) შუა საუკუნეების ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველი ფილოსოფოსია, რომელიც საგანგებოდ სწავლობდა და იკვლევდა ნეოპლატონურ ფილოსოფიას. მან ქართულად თარგმნა ნემესიოს ემესელის იმ დროს კარგად ცნობილი ნაშრომი „ბუნებისათჳს კაცისა", მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საწყისების" მისეული ქართული თარგმანია,[1] რომელსაც მან ვრცელი კომენტარი დაურთო.[2] „თეოლოგიის საწყისების" პეტრიწისეული კომენტარი წარმოადგენს

1 იოანე პეტრიწი, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, ტ. I, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, შესავალი სტატია მ. გოგიბერიძისა, თბილისი, 1940.

2 იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს, ტ. II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1937.

ამ ნაშრომის რეცეფციის მნიშვნელოვან მცდელობას, რადგან ქართველი ფილოსოფოსი მას განიხილავს იმანენტურად, მაშასადამე, თავად პროკლეს ფილოსოფიაზე დაყრდნობით. ამის გამო იგი პროკლეს ფილოსოფიის, განსაკუთრებით კი, პროკლეს შესახებ შუა საუკუნეებში შექმნილი კომენტარების შესწავლის დროს საგანგებო ყურადღების საგანი უნდა გახდეს. დღემდე „თეოლოგიის საწყისების" ფართოდ გავრცელებულ გამოცემებში ეს მხოლოდ არადამაკმაყოფილებლად მოხდა. პროკლეს ამ ნაშრომის პეტრიწისეული თარგმანი და კომენტარი ამ გამოცემებში მხოლოდ ზედაპირულად თუ განიხილებოდა ან სულაც უსამართლოდ იყო გაკრიტიკებული (მაგალითად, ე. რ. დოდსის მიერ მომზადებულ პროკლეს „თეოლოგიის საწყისების" ცნობილ გამოცემაში).[3] პროკლეს ფილოსოფიური შემოქმედების კვლევაში არსებული ეს ხარვეზი მხოლოდ იმის მეშვეობით გასწორდება, თუკი „თეოლოგიის საწყისების" ქართული თარგმანი და კომენტარი პროკლეს ბიზანტიელ და ლათინელ კომენტატორებთან მჭიდრო კავ-

3 შდრ. თ. ირემაძე, იოანე პეტრიწი, ინგლისურიდან თარგმნა ბ. მაშავამ, თბილისი, 2019, გვ. 7-8, ასევე, გვ. 26.

შირში იქნება განხილული და შეფასებული. აქ, უწინარეს ყოვლისა, პროკლეს ამ ნაშრომის შესახებ ნიკოლოზ მეთონელისა (XII ს.) და ბერთოლდ მოსბურგელის (XIV ს.) კომენტარები უნდა იქნეს დასახელებული. აღსანიშნავია, რომ პროკლეს ეს ორი კომენტატორი განსხვავებული პერსპექტივებიდან გამომდინარე იკვლევდა და განმარტავდა პროკლეს „თეოლოგიის საწყისებს". გარდა ამისა, ამ კონტექსტში უნდა გავითვალისწინოთ XI-XII საუკუნეების ბიზანტიელი ფილოსოფოსები (მიქაელ ფსელოსი, იოანე იტალოსი) და შუა საუკუნეების ლათინურენოვანი მოაზროვნე ჰაინრიხ ბატე მეხელენელი (XIII ს.).[4]

პეტრიწმა ნეოპლატონიკოს პროკლეს „თეოლოგიის საწყისების" ყველა თავი დაწვრილებით, სიტყვა-სიტყვით განმარტა, ისევე, როგორც ბერთოლდ მოსბურგელმა, რომელმაც პროკლეს ამ ნაშრომის ძალზე ვრცელი კომენტარი შექმნა. პროკლეს ამ ნაშრომის პეტრი-

4 იხ. თ. ირემაძე, გვიანი ანტიკური ხანის ნეოპლატონური ტრადიცია შუა საუკუნეების საქართველოში. ნაწილი I – პროკლე დიადოხოსი, *გაზეთში*: „საპატრიარქოს უწყებანი", №11 (21-26 მარტი, 2019 წ.), გვ. 9-10.

წისეული კომენტარი გვარწმუნებს, რომ ქართველი ავტორი ანტიკურ ფილოსოფიას ჩინებულად იცნობდა; ის არ იყენებდა მეორად წყაროებს და სახეცვლილ ცნობებს ანტიკური მოაზროვნეების შესახებ. პეტრიწისთვის პროკლეს ფილოსოფია თავისთავად ღირებულებას წარმოადგენს. ამიტომ ის „თეოლოგიის საწყისებს" ნაბიჯ-ნაბიჯ განმარტავს; ქართველ მოაზროვნეს სურს, რომ ამ ნაშრომის ფარული შრეები გამოავლინოს და მის არსს ჩასწვდეს. ამ მიზნით, იგი ისევ პროკლეს და ანტიკური ფილოსოფიის სხვა წარმომადგენლებს ეყრდნობა. პეტრიწის კომენტატორული მეთოდი შუა საუკუნეებში დამკვიდრებული ახსნა-განმარტებითი მეთოდებისგან მკვეთრად განსხვავდება. იგი, ამ თვალსაზრისით, უფრო მეტად რენესანსის მოაზროვნეებთან ამყარებს ნათესაურ კავშირს: პეტრიწი ორიგინალური წყაროდან თარგმნის პროკლეს, განმარტავს მას და თავისი კომენტარის წინასიტყვაობაში ვრცლად განიხილავს თავისი ნაშრომის შექმნის ძირითად მოტივებს.[5]

5 იხ. თ. ირემაძე, გვიანი ანტიკური ხანის ნეოპლატონური ტრადიცია შუა საუკუნეების საქართველოში. ნაწილი I – პროკლე დიადოხოსი, გვ. 9.

პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ პეტრიწისეულმა ქართულმა თარგმანმა და კომენტარმა არა მხოლოდ ქართულ ფილოსოფიასა და კულტურაზე მოახდინა დიდი გავლენა, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც. 1248 წელს სომეხმა ბერმა სიმეონ პლინძაჰანეციმ სომხურად თარგმნა პროკლეს ნაშრომის პეტრიწისეული თარგმანი და ამით ხელი შეუწყო პროკლეს ფილოსოფიის გავრცელებას სომხეთში. XVII საუკუნეში სომეხი ფილოსოფოსები ინტენსიურად განიხილავდნენ პროკლეს აზროვნებას და თანაც მისი აქტუალობის შესახებაც მსჯელობდნენ. 1651 წელს სომეხმა ეპისკოპოსმა სიმეონ ჯუღაეციმ შექმნა კომენტარები, რათა გაეადვილებინა „თეოლოგიის საწყისების“ გაგება. ეს კომენტარები ემყარებოდა სიმეონ პლინძაჰანეცის მიერ XIII საუკუნეში შესრულებულ პეტრიწის ქართული თარგმანის სომხურ თარგმანს. 1757 წელს ეს კომენტარები პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ სომხურ ვერსიასთან ერთად ხელახლა ითარგმნა ქართულად, რამაც მნიშვნელოვანი კვალი დაატყო ქართულ კულტურას. ამგვარად, XVIII საუკუნეში ქართულ ენაზე „თეოლოგიის საწყისების“ ორი განსხვავებული კომენ-

ტარი მოიპოვებოდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XVII-XVIII საუკუნეების დიდი ქართველი მოაზროვნეები ამ ტექსტებს სხვადასხვაგვარად განიხილავდნენ. ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ანტონ პირველი) მწვავედ აკრიტიკებდა სომხურ ვერსიას მისი შინაარსის გამო. ზოგიერთი კი (მაგალითად, იოანე ბაგრატიონი) სწორედაც რომ სომხურ ვერსიას ეყრდნობოდა და ამით – პირდაპირ თუ ირიბად – მის გარკვეულ უპირატესობას უსვამდა ხაზს.[6] ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ახალი დროის საქართველოში პროკლეს ფილოსოფია პეტრიწის ნაშრომების დამსახურებით ცხოველი განხილვისა და ინტერესის საგანი იყო. გარდა ამისა, მას კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტშიც ენიჭებოდა საგანგებო მნიშვნელობა.[7]

---

6 ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით იხ. თ. ირემაძე, იოანე პეტრიწი, გვ. 19-20.

7 T. Iremadze, Die *Elementatio theologica* des Proklos im Kontext der kaukasischen Philosophie, in: Reading Proclus and the *Book of Causes*, vol. 2: Translations and Acculturations, edited by D. Calma, Leiden – Boston, 2021, გვ. 139-153.

## §2. როგორ უნდა გავიგოთ იოანე პეტრინის ფილოსოფია?

იოანე პეტრინი თავის კომენტარში პროკლეს ფილოსოფიურ კონცეფციას გადმოგვცემს და ცხადად გვაჩვენებს, თუ რა არის მისი არსი. პეტრინის ეს ტექსტი რომ სასწავლო მიზნებისთვის იყო შექმნილი, იქიდან ჩანს, რომ პეტრინი მსმენელს ხშირად უშუალოდ მიმართავს, მაგალითად, შემდეგი სახით: „ისმინენ, გამგონეო!" ბუნებრივია, როცა მთხრობელის წინაშე მსმენელია, სწორედ მაშინ არის საჭირო რთულად ასათვისებელი მასალის გულდასმით განხილვა და განმარტება, რათა „თეოლოგიის საწყისებში" დასმული მნიშვნელოვანი პრობლემები (მაგალითად, ემანაციის პრობლემა) ადეკვატურად იქნეს წარმოჩენილი.

იოანე პეტრინის მთავარი მიზანი დიდი გელათური იდეალების განსახორციელებლად იქაური შეგირდების განსწავლა და მომზადება იყო; ამგვარ მცდელობებს ახალ საფეხურზე უნდა აეყვანა კვლევა-ძიების პრო-

ცესი ქრისტიანულ ფილოსოფიაში. პეტრიწის აზრით, საამისოდ პროკლე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორი იყო. ამასვე გვიდასტურებს ე.წ. „ბიზანტიური რენესანსის" შესახებ არსებული თეორიებიც, რომლებიც ხაზს უსვამს ანტიკური ფილოსოფიის აღორძინების პროცესს ბიზანტიის იმპერიაში, რაც „პროკლეს რენესანსის" სახელითაც შეიძლება აღინიშნოს.[8]

ამგვარად, იკვეთება, რომ პროკლე უბადლო ავტორია ქრისტიანული ფილოსოფიით დაინტერესებული აუდიტორიისთვის! და მაინც – რატომ? იმიტომ, რომ მან ის, რაც პლატონთან პრობლემად რჩებოდა, თავისი ფილოსოფიის მეშვეობით წარმატებით დაძლია. რაც პლატონს ჰქონდა ჩაფიქრებული, პროკლემ აშკარად განაცხადა და ამიტომ იგი, პეტრიწის აზრით, ფილოსოფიის დარგში თვით პავლე მოციქულთანაც კი შეიძლება იქნეს შედარებული („ჩემიცა პავლე").[9]

როგორც ვხედავთ, პეტრიწი პროკლეს დიდად აფა-

8 G. Podskalsky, Nikolaos von Methone und die Proklosrenaissance in Byzanz (II./12Jh.), in: Orientalia Christiana Periodica 42 (1976), გვ. 509-523.

9 იოანე პეტრიწი, განმარტებაᲘ, გვ. 78; 171; 208; 210.

სებს, უწინარეს ყოვლისა, იმ სარგებლის გამო, რაც მან ქრისტიანობას შეუძლია მოუტანოს. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ პროკლე იყო ის მოაზროვნე, რომელიც ქრისტიანობას გამალებით ეწინააღმდეგებოდა და ებრძოდა, პეტრიწი ამას მაინც ხაზგასმით აღნიშნავს. ის პრობლემები, წინააღმდეგობები და დაბრკოლებები, რაც პეტრიწს ბიზანტიასა და საქართველოში ხვდა წილად, სავარაუდოდ, სწორედ ამითაც იყო გამოწვეული. მეტად რთულია დაარწმუნო ქრისტიანული მრწამსის მქონე ადამიანები, რომ ქრისტიანობას სჭირდება სწორედ იმგვარი ავტორი, რომელიც ქრისტიანობის წინააღმდეგ იბრძოდა. წარმოვიდგინოთ, როგორი გამბედაობა და რისკია ამ წამოწყებისთვის საჭირო!

იოანე პეტრიწის კომენტარში მრავლად არ არის ისეთი თავები, რომლებშიც პეტრიწის ორიგინალური ხედვებია წარმოჩენილი. პირველ რიგში, მას სურს, რომ პროკლეს თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნააზრევი ასწავლოს ქრისტიანებს; მიუხედავად ამისა, მისი კომენტარისა და ინტერპრეტაციის მოდელები ხშირად ისეთი სახისაა, რომ იგი საკუთარი ხედვების

ს.ს.ი. - ბიბლიოთეკა
საახალგაზრდო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკა
№ ——

რად წარმოჩენასაც ახერხებს,[10] თუმცა, მისი პირველადი მიზანი არ იყო ის, რომ კომენტარის ფარგლებში საკუთარი ფილოსოფია განევითარებინა.[11]

იოანე პეტრიწი თავისი კომენტარის „ბოლოსიტყვაობაში" მოგვითხრობს: დაბრკოლებები და წინააღმდეგობები რომ არ მქონოდა, „ვიარისტოტელურებდი" და „ნივთისაგან მიუხებელ ღვთისმეტყველებას წამოვაყენებდიო".[12] აქედან ჩანს, რომ პეტრიწს საკუთარი (ორიგინალური) ფილოსოფიის შექმნაც სურდა, რომ არა მის თანამედროვეთა, ქართველთა და ბერ-

10 შუა საუკუნეების სხვადასხვა კომენტატორული მეთოდის პრინციპებისა და სპეციფიკის შესახებ დაწვრილებით იხ. თ. ირემაძე, ფილოსოფიური კომენტარის საკითხები შუა საუკუნეებში, *წელიწდეულში*: „ფილოსოფიური განაზრებანი", # 1 (თბილისი, 2001), გვ. 1-39.

11 იოანე პეტრიწის კომენტატორული საქმიანობისა და მისი კომენტარის თავისებურების შესახებ ვრცლად იხ. T. Iremadze, Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus. Zur Rezeption der Proklischen Philosophie im deutschen und georgischen Mittelalter: Dietrich von Freiberg – Berthold von Moosburg – Joane Petrizi (Bochumer Studien zur Philosophie, Bd. 40), Amsterdam – Philadelphia: B. R. Grüner Publishing Company, 2004, გვ. 53-58.

12 იოანე პეტრიწი, განმარტებაი, გვ. 222.

ძენთა შური და გაუტანლობა. ჩემი თანამემამულენი საფრთხესა და წინააღმდეგობებს მიქმნიდნენ, ნაცვლად დახმარებისა და თანადგომისაო.[13]

არ ვიცით, თუ რამდენი ფილოსოფიური ტექსტი შექმნა იოანე პეტრიწმა! წესით, მას მრავალი ტექსტი უნდა ჰქონოდა შექმნილი, რადგან იგი იყო გელათის აკადემიის მასწავლებელი, მოძღვარი. მასწავლებელს, ცხადია, აკადემიური ვალდებულებები აქვს, რომლის მიხედვითაც უნდა ასწავლოს ესა თუ ის ავტორი. პეტრიწის შემთხვევაში ასეთი ავტორი არის პროკლე. აი, ეს თავისებურება უნდა გავითვალისწინოთ, როცა საქმე იმდროინდელი სასწავლო გეგმის სტრუქტურას ეხება.

განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც ერთი გარემოება იქცევს – როგორ და საიდან გაჩნდა გელათის აკადემიურ სივრცეში განცდა იმისა, რომ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული ყოფილიყო გვიანი ანტიკური ხანის ბერძნული ფილოსოფიის ისეთი გვირგვინი, როგორიც პროკლე და მისი „თეოლოგიის საწყისებია". თითქოსდა, იმ დროის ქართულ აკადემიურ სივრცეში საამისო ვითარება არ უნდა ყოფილიყო მომზადებული;

13 იოანე პეტრიწი, განმარტებაᲘ, გვ. 222.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ცნობილი იმდროინდელი სააზროვნო კონტექსტი საგანგებოდ არ მიანიშნებს ამაზე! ვფიქრობთ, რომ პეტრიწმა უნიკალური ნაბიჯი გადადგა ამ კუთხით, მან განსაკუთრებული საქმე აღასრულა. სწორედ ამიტომ იგი მარსილიო ფიჩინოს დარი მოღვაწე და რენესანსული ყაიდის ქართველი მოაზროვნეა.[14]

* * *

იოანე პეტრიწმა ქართულ ფილოსოფიაში ენობრივად უნიკალური ტერმინები შექმნა და შემოიტანა. მაგალითად, შედეგი რომ გარკვეულწილად მიზეზის იგივეობრივია, ამას მიუთითებს ის, რომ მიზეზიდან გამომდინარეობს „მიზეზოანი" (შედეგი), ანუ *ის არის ის*, რაც მიზეზის შედეგად არის. ეს ტერმინოლოგიურად ძალიან ზუსტი მიგნებაა. პეტრიწი ცდილობს

14 თ. ირემაძე, ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში (ანონიმი ავტორი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი), *კრებულში*: ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში, კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი თ. ირემაძე, თბილისი, 2016, გვ. 8-20, განს. გვ. 15.

„იგივე სხუაᲲს“ თეორია დაამუშავოს და მიზეზისა და შედეგის დიალექტიკა კიდევ უფრო ნათლად გადმოსცეს. თუკი დიალექტიკური კავშირი არ იქნება მიზეზსა და შედეგს შორის, მაშინ ერთის თეორიაც არ იარსებებს, ემანაციასაც აზრი დაეკარგება და ამის შედეგად სამყარო წარმოჩნდება როგორც ფრაგმენტული, რაც ნეოპლატონიზმისთვის მიუღებელია. ნეოპლატონიკოსებმა კარგად გააცნობიერეს, რომ პლატონური ფილოსოფიის გავლენის კვალობაზე მთელ რიგ მოაზროვნეებს სამყაროს დუალისტური აღქმა ჰქონდათ. არისტოტელემ, ცხადია, არა მარტო მიზეზთა სქემის შემოტანით, არამედ, ზოგადად, იმით, რომ ზოგადი ერთეულში დაადგინა, ეს პრობლემა გადაჭრა. პლატონის მოძღვრების მთელი პრობლემა იყო ის, თუ როგორ უნდა დაკავშირებოდა ცალკეულ საგანს ზოგადი, ვთქვათ, ერთ კონკრეტულ ადამიანს როგორ უნდა დაკავშირებოდა ადამიანობის იდეა? როგორ არსებობს ერთ კონკრეტულ ადამიანში ადამიანობის იდეა? ეს რთული პრობლემაა, მის გადასაჭრელად უნდა არსებობდეს ე.წ. „მესამე გვარი“, რომელიც ამ ორი სახის არსებულს შორის გამაშუალებლის ფუნქციას შეასრუ-

ლებს, თუმცა, ამის საფუძველზე წარმოიშობა რეგრესი უსასრულობაში. ლოგიკური ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, ეს არის ერთგვარი „მანკიერი წრე“, რადგან ამგვარი რამ ლოგიკურად შესაძლებელი არ არის, შესაბამისად, არისტოტელეც სხვა გზით წავიდა. მისი აზრით, ჯერ არსებობენ ცალკეული ადამიანები და შემდეგ ვასკვნით, რომ მათ აქვთ რაღაც საერთო, ანუ ცალკეულში ჩვენ ვადგენთ ზოგადს – ცალკეული არსებულები ზოგად მახასიათებლებს ავლენენ. არისტოტელესთვის კონკრეტულ საგნებში მოცემულია ზოგადი და არა პირიქით! ეს მისი დიდი მიგნება იყო – მან დაასკვნა, რომ, მაგალითად, სოკრატეში არის ადამიანობა და, საერთოდაც, ზოგადი ერთეულიდან „გამომდინარეობს“.

პლატონი თავის ადრეულ დიალოგებში ამბობს: ერთეულს ვერ გავიგებთ, თუკი არ ვიცით ზოგადი! ხოლო, მოგვიანებით, „პარმენიდეში“ და სხვა დიალოგებში იგი ერთიანი სამყაროს საერთო სურათის შექმნას ცდილობს. პლატონი – ერთის შესახებ მოძღვრების წინა პლანზე წამოწევით – სამყაროს, როგორც მთლიანის შესახებ კონცეფციის, მოდელის განვითარებას ცდი-

ლობს. სავარაუდოდ, სწორედ ამას აფასებს იოანე პეტრიწი პროკლე დიადოხოსის ნააზრევში, რადგან პროკლემ სისტემური სახე მისცა პლატონის მოძღვრებას ერთის შესახებ. ემანაციის პროკლესეული თეორიაც პლატონის „პარმენიდეს" თანმიმდევრული და ადეკვატური გაგების შედეგია. იოანე პეტრიწი ამის თაობაზე თავისი „განმარტებაჲ"-ს წინათქმაში აღნიშნავს.[15]

* * *

იოანე პეტრიწის ფილოსოფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი არის მოძღვრება მიზეზთა შესახებ. იგი თავის კომენტარში ვრცლად განიხილავს არისტოტელესა და პროკლეს მოძღვრებას მიზეზთა შესახებ და განსაკუთრებით მსჯელობს „შემოქმედებითი მიზეზის" შესახებ. რატომ ამახვილებს პეტრიწი საგანგებო ყურადღებას „შემოქმედებით მიზეზზე"?

არისტოტელეს ოთხი მიზეზის სქემა მნიშვნელოვანია არსებულთა დახასიათების დროს, რადგან ის ყოფიერთა მთელ სფეროზე ვრცელდება. უფრო მე-

15 იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ, გვ. 5.

ტიც, ის გამოიყენებოდა ამა თუ იმ ტექსტის განხილვის დროსაც. ცნობილია, რომ ტექსტის დახასიათების დროს მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ ვინ არის მოცემული/განსახილველი ტექსტის ინიციატორი ანუ ავტორი. ავტორი არის ის, ვინც მოქმედებს, ვინც ტექსტს ქმნის, მაშასადამე, იგი არის ტექსტის განმაპირობებელი მიზეზი. ასე რომ, თუკი ოთხი მიზეზის სქემა დაწვრილებით გამოიყენება ტექსტისა და ტექსტუალურის სფეროში, ბუნებრივია, ის სრულად შეიძლება იქნეს გამოყენებული ყოფიერების სფეროშიც – განსაკუთრებით კი ცოცხალ არსებულთა მიმართ. აი, სწორედ ამგვარი ხედვა ქმნის არისტოტელეს ონტოლოგიას. არისტოტელეს ონტოლოგიის მთავარი პრინციპები მიზეზთა სქემას ეფუძნება. უფრო მეტიც, არისტოტელეს მიხედვით, ცოდნას მაშინ ვფლობთ, როცა ვიცით მოვლენათა მიზეზები, ანუ ცოდნა მიზეზთა შესახებ ცოდნაა. ძველი ლათინები იტყოდნენ: *scire est per causam cognoscere* (*ქართ.*: „ცოდნა ნიშნავს მიზეზების მიხედვით შემეცნებას"). ეს ფორმულა არისტოტელეს ნააზრევის მიხედვით არის ჩამოყალიბებული.

იოანე პეტრიწთან გვხვდება არისტოტელეს პერიპა-

ტეტიკოსი განმმარტებლების კრიტიკა. საინტერესოა, რომ პეტრიწი არისტოტელეს კი არ აკრიტიკებს, არამედ არისტოტელეს მიმდევრებს, კერძოდ კი, ალექსანდრე აფროდისიელს. სავარაუდოდ, პეტრიწისთვის კარგად იყო ცნობილი არისტოტელეს ფილოსოფიის ე.წ. „მატერიალისტი" ინტერპრეტატორების შეხედულებები. მათი აზრით, ოთხი მიზეზის სქემა არსებითად ორიენტირებულია და მიემართება მატერიალურ ანუ ყოფით სამყაროს, მაგრამ ის ვერ გამოდგება ღმერთის არსის, ქრისტეს ბუნების და სხვა ქრისტოლოგიური საკითხების ადეკვატურად გასაგებად და დასახასიათებლად. ღმერთის შესახებ მიზეზობრიობის ტრადიციულ სქემას ვერ გამოვიყენებთ და ვერ ვიტყვით, რომ იგი „მოქმედი მიზეზია" (*causa effectus*) იმ გაგებით, რა გაგებითაც ამას გარემომცველი სინამდვილის ამა თუ იმ ობიექტზე ვამბობთ.[16]

16 იოანე პეტრიწის ნააზრევში არისტოტელეს ოთხი მიზეზის სქემისა და მიზეზთა შესახებ პროკლეს ნეოპლატონური მოძღვრების რეცეფციისა და ტრანსფორმაციის საკითხს ეძღვნება ჩემი ერთ-ერთი გერმანულენოვანი გამოკვლევა, რომელშიც დეტალურად არის განხილული არისტოტელეს მიზეზთა სქემის ონტოლოგიური მნიშვნელობა, პროკლეს თეორიული ძიებების სპეციფიკა ამ კუთხით და ქრისტიანულ ჭრილში ამ

არისტოტელესთან ოთხი მიზეზი, საბოლოო ჯამში, ორ ძირითად მიზეზზე შეიძლება იქნეს დაყვანილი – მატერიალურ და ფორმალურ მიზეზებზე. არისტოტელე („მეტაფიზიკაში") მიზეზთა სხვადასხვა რაოდენობის შესახებ საუბრობს, თუმცა, ფილოსოფიის ისტორიაში ოთხი მიზეზის სქემამ საგანგებო ადგილი დაიკავა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო.[17]

არისტოტელე, ცხადია, არ იყო ქრისტიანი ავტორი. ქრისტიანული აღმსარებლობის ავტორს კი ანტიკურობაში განვითარებული მიზეზთა სქემა ახალი ასპექტებით უნდა გაემდიდრებინა და გარკვეული კუთხით უნდა განევრცო კიდეც. მაშასადამე, საჭირო შეიქნა მიზეზის განსაკუთრებული სახის შემოტანა. სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ ქრისტიან ავტორებთან ვხვდებით „შემოქმედებითი მიზეზის" ცნე-

ორი მოდელის ანალიზი იოანე პეტრიწის მიერ: T. Iremadze, Zur Rezeption und Transformation der Aristotelischen und Proklischen Ursachenmodelle bei Joane Petrizi, in: Archiv für mittelalterliche Philosophie und Kultur, Heft XVII, hrsg. von T. Boiadjiev, I. Christov, G. Kapriev und A. Speer, Sofia 2011, გვ. 96-111.

17 თ. ირემაძე, ფილოსოფიური კომენტარის საკითხები შუა საუკუნეებში, გვ. 17-20.

ბას. სხვა საკითხია, თუ რამდენად დამაჯერებელია ეს ცნება მიზეზთა ტრადიციულ სქემაში?! ამის შესახებ კითხვა სრულიად ლეგიტიმურია, თუმცა, ერთი რამ ცხადია: პეტრიწი და სხვა ქრისტიანი ავტორები აშკარად გრძნობდნენ არისტოტელეს მიზეზთა სქემის განვრცობისა და განვითარების საჭიროებას. მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ახალი მიზეზის ცნება უნდა შემოეტანათ. აქაც ისმის შემდეგი კითხვა: რამდენად დამაჯერებლად ახორციელებდნენ ისინი ამ საქმეს?

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ შემოქმედებით მიზეზს[18] შეიძლება ეწოდოს „მამებრივი მიზეზი".[19] ამ ასპექტებზე დაყრდნობით შეგვიძლია იოანე პეტრიწის ქრისტიანული ფილოსოფიის თავისებურების შესახებაც კი ვისაუბროთ. თავისი კომენტარის უმეტეს თავებსა და მონაკვეთებში იგი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება პროკლეს.[20] მის კომენტარში ალაგ-ალაგ

18 იოანე პეტრიწი, განმარტებაᲘ, გვ. 136.

19 იოანე პეტრიწი, განმარტებაᲘ, გვ. 179.

20 თ. ირემაძე, ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში, გვ. 13.

თუ არის შემორჩენილი აშკარად ქრისტიანიზებული ფრაგმენტები და სწორედ მათზე დაყრდნობით უნდა მოვახდინოთ პეტრიწის ქრისტიანული მსოფლხატის რეკონსტრუირება.[21] აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პეტრიწის მიერ მოცემულ ახსნა-განმარტების პროცესში ემანაციური სქემის ნეოპლატონური მოდელი, გარკვეულწილად, სუსტდება და არ არის ისე მკაცრად სტრუქტურირებული, როგორც ეს პროკლეს ზემოთ დასახელებულ ნაშრომში ან, ზოგადად, ანტიკური ხანის სხვა ნეოპლატონიკოსებთან გვხვდება.

იოანე პეტრიწის კომენტარში გამოყენებული ტერმინი „იგივე სხუაჲ"[22] ზემოხსენებულ მიზეზთა კონტექ-

---

21 იოანე პეტრიწის ქრისტიანული ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სამების შესახებ მოძღვრების მისეული დასაბუთება. სწორედ ამ საკითხის განხილვას ეძღვნება ცნობილი ქართველი ფილოსოფოსისა და თავად პეტრიწის ნააზრევის დიდი დამფასებლის, მოსე გოგიბერიძის საყურადღებო სტატია; იხ. M. Gogiberidse, Zahlenspekulative Begründung der Trinitätslehre bei Johannes Petritzi, იხ.: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, №5 (1940), გვ. 385-392.

22 იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ, გვ. 87.

სტშია მოხმობილი და ის მიზეზთა სქემის დიალექტიკის გამომხატველი ცნება/ტერმინია; ის იმ ტიპის უნიკალური ტერმინია, რომლის საფუძველზეც იოანე პეტრინის დიალექტიკა ჰეგელის დიალექტიკის გარკვეულ ასპექტებთანაც კი შეიძლება იქნეს შედარებული.[23]

იოანე პეტრინის ფილოსოფიურ შემოქმედებაზე საუბრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ჩვენ არ ვიცით, შექმნა თუ არა მან ორიგინალური ფილოსოფიური ტრაქტატები. იგი იყო უაღრესად განსწავლული ბერი, რომელიც გელათში მოღვაწეობდა და იქვე განმარტავდა „თეოლოგიის საწყისებს" – ანტიკური ხანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფილოსოფიურ ტექსტს, ე.ი. ის იყო კომენტატორი! მაშასადამე, მისი დანიშნულება განსხვავდებოდა ტრაქტატის ან სხვა ტიპის ფილოსოფიური ჟანრის შემქმნელი ავტორის დანიშნულებისაგან. ვინც ორიგინალურ ფილოსოფიურ

23 თ. ირემაძე, ანტიკური ნეოპლატონიზმის ჰეგელისეული გაგება და მისი კრიტიკა შალვა ნუცუბიძის მიერ, *წიგნში*: თ. ირემაძე, ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები, თბილისი 2013, გვ. 54-57.

ტრაქტატს ქმნის, ბუნებრივია, მას უფრო კომპლექსური მიდგომა და პროგრამა აქვს, რომლითაც სურს ახსნას სამყარო, გადმოსცეს საკუთარი ხედვები სამყაროს შესახებ, იმის შესახებ, თუ რა და როგორ ხდება სამყაროში. ამა თუ იმ ტექსტის კომენტარის შექმნისას კომენტატორის დანიშნულება სულ სხვა სახისაა: კომენტატორი იმ ტექსტის საზრისს უნდა სწვდეს, რომლის კომენტარსაც იგი ქმნის. ის, რომ იოანე პეტრიწი ზოგჯერ სცდება კომენტატორის საზღვრებს, ემსახურება იმას, რომ აჩვენოს პროკლეს სწავლების საჭიროება ქრისტიანობისთვის, თუმცა კი, ეს ისე შორსაც ვერ მიდის, რომ ქართველმა მოაზროვნემ ემანაციის შესახებ საკუთარი თეორია განავითაროს; ამგვარი კომენტირება, ამავე დროს, გულისხმობს კომენტარის ჩარჩოების დადგენასაც. როდესაც იოანე პეტრიწი საუბრობს ერთიდან ყოველივეს გამომდინარეობაზე, იგი აქ ერთგულად მიჰყვება პროკლეს. უბრალოდ, პროკლეს აბსტრაქტული, თითქმის მათემატიკური ხასიათის ზუსტი და მშრალი სტილი იოანე პეტრიწის კომენტარში მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო მასალით იქნა გაჯერებული.

## §3. იოანე პეტრიწი და ფილოსოფიური მემკვიდრეობა

იოანე პეტრიწი თავის კომენტარში (ე.წ. „ბოლოსიტყვაობაში") ამბობს: თანამოძმეთაგან შეწევნა და თანადგომა რომ მქონოდა, ენასაც შესაბამისად „გავაწყობდი", „ვიარისტოტელურებდი" და „ნივთთაგან მიუხებელ ღვთისმეტყველებასაც" შევქმნიდიო.[24] რა იგულისხმება პეტრიწის ამ გამონათქვამში? ამ საკითხის გასარკვევად, პირველ რიგში, საჭიროა გავიგოთ, თუ რა მიმართებას გამოკვეთს პეტრიწი პლატონსა და არისტოტელეს შორის. ცნობილია, რომ მეორე პირველის მოწაფე იყო, უმეტესწილად კი მიიჩნევა, რომ არისტოტელე იყო პლატონის კრიტიკოსი მოწაფე. ამის მაგალითია, თუნდაც, პლატონის გვიანდელი დიალოგი „პარმენიდე", რომელშიც (როგორც ამას თანამედროვე კვლევები მოწმობენ) ნახსენები პერსონაჟი არისტოტელე თავად დიდი სტაგირელი ფილოსოფოსი უნდა იყოს.

24 იოანე პეტრიწი, განმარტებაი, გვ. 222.

ცნობილია, რომ არისტოტელე „მეტაფიზიკის“ I წიგნში დაწვრილებით გადმოსცემს და აკრიტიკებს პლატონის იდეების თეორიას.[25] ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ არისტოტელე იყო ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსი ფილოსოფიისა; არისტოტელეს ფილოსოფია უაღრესად საინტერესოა ამ ასპექტითაც, რადგან მის ნაშრომებში არაერთი ადრეული მოაზროვნის მოძღვრებაა რეკონსტრუირებული და განხილული. ზემოთ ვახსენეთ დიალოგი „პარმენიდე“; შეიძლება ითქვას, რომ ეს დიალოგი წარმოადგენს ერთგვარ პასუხს მასწავლებლისა მოსწავლისადმი: პლატონი აქ არისტოტელეს კრიტიკას პასუხობს და თავისი ადრეული ხედვების გარკვეულ გადაფასებასაც ახდენს. სწორედ ამის საფუძველზე მიიჩნევა, რომ დიალოგში ნახსენები პირი – არისტოტელე – სწორედ დიდი სტაგირელი ფილოსოფოსი არისტოტელეა.

პეტრიწის ზემოხსენებული სიტყვები არ არის საკუთარი მოღვაწეობის გადაჭარბებული შეფასება. ცხა-

25 არისტოტელე პლატონის იდეების თეორიას „მეტაფიზიკის“ I წიგნის მეექვსე თავში გადმოსცემს, ხოლო ამ თეორიის კრიტიკა კი ამავე წიგნის მეცხრე თავშია მოცემული.

დია, იგი არასდროს იფიქრებდა, რომ არისტოტელეს დარი მოაზროვნეა. ამ კუთხით განსაცვიფრებელია პეტრიწის უდიდესი პატივისცემა ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობისადმი. ამ მემკვიდრეობის ადეკვატური შეფასების გზით მისი სათანადო დაფასება და პატივისცემა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რადგან ის პეტრიწის ნაშრომში ანტიკური საბერძნეთის თითქმის ყველა დიდი მოაზროვნის მიმართ ვლინდება. პეტრიწი სწორედ ასეთი ყაიდის ფილოსოფოსი იყო, მიუხედავად დიდი მიღწევებისა, იგი სწორედაც რომ გამოირჩეოდა ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობისადმი ღრმა პატივისცემის გრძნობით. ამდენად, პეტრიწის ზემოთ ნახსენები სიტყვები შემდეგნაირად შეიძლება იქნეს გაგებული: მას რომ დიდი წინააღმდეგობები არ შეხვედროდა, იგი ქართული აზროვნებისთვის კიდევ უფრო დიდ საქმეს გააკეთებდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პეტრიწისთვის სწორედ პლატონია უმაღლესი, ღვთაებრივი, „ზეციური" სიბრძნის მფლობელი და განმასახიერებელი მოაზროვნე, ხოლო არისტოტელე კი „მიწიერი სამყაროს" ბრძენია.

პეტრიწი არ არის იმ ტიპის მოაზროვნე, რომელიც

ცდილობს ანტიკური ფილოსოფიის ამ ორი დიდი წარმომადგენლის ერთმანეთთან საბოლოო მორიგებას. ამგვარი მოაზროვნე, უფრო მეტად, იყო ნიკეელი მიტროპოლიტი ევსტრატე (გარდ. 1117 წ.), რომელსაც პლატონსა და არისტოტელეს შორის განსხვავება მხოლოდ გარეგნულ ფორმამდე დაჰყავდა.[26] იოანე პეტრინისთვის კი ამ ფილოსოფოსებს შორის განსხვავებები არსებობს და მისთვის პირველი მაინც პლატონია, თუმცა, იგი დიდად აფასებს არისტოტელესაც.[27]

აქედან გამომდინარე, ისმის შემდეგი კითხვა: და მაინც, რა განსხვავებაა ამ ორ დიდ მოაზროვნეს შორის? პლატონი გახლდათ მოაზროვნე, რომელმაც იდეათა თეორიის მეშვეობით ზოგადობას კონკრეტულობასთან მიმართებით უპირატესობა მიანიჭა. მისთვის ამგვარ ზოგადობას იდეების სამყარო წარმოად-

26 შდრ. თ. ირემაძე, ბიზანტიური აზროვნება და ქართული ფილოსოფია. ნაკვეთი მესამე – იოანე იტალოსი და ევსტრატე ნიკეელი, *გაზეთში*: „საპატრიარქოს უწყებანი", №21 (6-19 ივნისი, 2019 წ.), გვ. 15-16.

27 შდრ. თ. ირემაძე, პლატონი და არისტოტელე შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში, *გაზეთში*: „საპატრიარქოს უწყებანი", №10 (14-20 მარტი, 2019 წ.), გვ. 12-14.

გენს. იდეები განყენებულად არსებობენ. მათი არსებობა მარადიული, უცვლელი და, ამგვარად, სრულყოფილია. მათ ანარეკლს კი წარმოადგენს ნივთიერი სამყარო, რომელშიც ყოველივე თავისი პირველხატის, იდეის მეშვეობით არსებობს. ნივთიერი სამყაროს ყოფიერება დაკნინებულია იდეებთან შედარებით, ის მხოლოდ ერთგვარ ანარეკლს, აჩრდილს წარმოადგენს. არისტოტელესთან კი, პირიქით, კონკრეტულიდან იქმნება ზოგადობა. ნივთიერი სამყაროს კონკრეტული არსი მისთვის წყაროა განზოგადებული, საერთო ცნებისა და სახელის შემოტანისა. მაგალითად, თუკი პლატონისთვის არსებობდა იდეა „ადამიანობა", რომლის შედეგიც, ასახვაც არის თითოეული, კონკრეტული ადამიანი, არისტოტელესთვის, პირიქით, სოკრატე, პარმენიდე, ემპედოკლე თუ სხვა რომელიმე კონკრეტული ინდივიდი არის იმის საფუძველი, რომ მას ზოგადის – „ადამიანობის" – შესახებ შეუძლია მსჯელობა. ამ ტიპის ზოგადს შეგვიძლია ვუწოდოთ სუბსტანცია, არსი, ბუნება, იპოსტასი და ა.შ.

პლატონისა და არისტოტელეს გავლენა საკაცობრიო აზროვნებაზე განუზომლად დიდია. მართალია, შეგვიძ-

ლია ვისაუბროთ იმაზე, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოაზროვნეებისთვის, სხვადასხვა კულტურულ არეალში ხან ერთი იყო უპირატესი, ხანაც მეორე, მაგრამ მათგან რომელიმე ერთის ცალსახა უპირატესობის გამოყოფა მაინც რთული საქმეა. ორივე ფილოსოფოსს აზროვნების მთელი ისტორიის განმავლობაში მრავალი მომხრე და მიმდევარი ჰყავდა. ორივე მათგანმა შექმნა დასავლური აზროვნებისა და ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ნიშანსვეტები. ამ კონტექსტში შეუძლებელია არ გაგვახსენდეს დიდი ბრიტანელი ფილოსოფოსისა და მათემატიკოსის, ალფრედ ნორთ უაიტჰედის (1861-1947 წწ.) სიტყვები – „ევროპის ფილოსოფიური ტრადიციის ზოგად და ყველაზე სანდო დახასიათებად ასეთი ფრაზა გამოდგება: ის წარმოადგენს პლატონის მოძღვრებაზე გაკეთებული შენიშვნების წყებას“. არისტოტელეს შემოქმედებამ კი დიდწილად განსაზღვრა ევროპული მეცნიერების განვითარება. ევროპული საუნივერსიტეტო სივრცეც მისი მოძღვრების ქრისტიანულ განმარტებას დაეფუძნა და სამომავლო განვითარების პერსპექტივებიც სწორედ მასში პოვა.

განსაკუთრებით მწვავე და აშკარა იყო ამ ორი მოაზ-

როვნის მიმდევართა დაპირისპირება რენესანსის ეპოქაში. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდგომ (1453 წ.) ერთი დიდი ნაკადი ინტელექტუალებისა (გეორგიუს გემისტუს პლეთონი, კარდინალი ბასილ ბესარიონი და სხვ.) იტალიაში გაიხიზნა.[28] მათ იქ ანტიკური ფილოსოფიის ხელახალი აღორძინების მუხტი შეიტანეს. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა რენესანსი, ინტელექტუალური მოძრაობა, რომელიც აისახა არა მხოლოდ ფილოსოფიურ აზროვნებაში, არამედ ხელოვნებაშიც (მხატვრობაში, არქიტექტურაში და ა.შ.). იტალიაში არსებული „ფილოსოფიური რენესანსის" პლატონური და არისტოტელური ნაკადის აშკარა გამოხატულებას წარმოადგენდა ორი დიდი ფიგურა – მარსილიო ფიჩინო და პიეტრო პომპონაცი. პირველი დიდი პლატონიკოსი იყო, ხოლო მეორე კი – დიდი არისტოტელიკოსი. სწორედ მათი და მათი მსგავსი მოაზროვნეების მეშვეობით განხორციელდა ამ ეპოქაში ანტიკური ფილოსოფიის ორი დიდი ნიშანსვეტის, პლატონისა და

28 ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. Th. Nikolaou, Grundlegende Gedanken über die Byzantinische Philosophie, in: Byzantina, Bd. 9 (1977), გვ. 167-186 (განსაკუთრებით კი იხ. გვ. 182).

არისტოტელეს ნააზრევის აღორძინება საკუთრივი ღირებულებითა და მნიშვნელობით.

ამასთანავე, როდესაც პლატონსა და არისტოტელეს ვადარებთ ერთმანეთს, უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ: პლატონის ფილოსოფია, რამდენადაც ის მიდრეკილია მიღმიერის (არაამქვეყნიურის) და იდეალურის წვდომისკენ, ქრისტიანული აზროვნებისთვის ყოველთვის ცხოველი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ეს შეგვიძლია თუნდაც პეტრიწის მაგალითზე ვაჩვენოთ. მისი ფილოსოფიის ქრისტიანულ ხასიათს სწორედ პლატონური იდეების გაზიარება განსაზღვრავს. პეტრიწის ქრისტიანული ფილოსოფიის სპეციფიკურ ხასიათს წარმოაჩენს ასევე ისიც, რომ იგი არსად ახსენებს ფსევდო-დიონისე არეოპაგელს. შეუძლებელია, რომ პეტრიწს, თავისი ეპოქის დიდად განსწავლულ პიროვნებას, არ სცოდნოდა ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი „არეოპაგიტული კორპუსის" ტექსტები,[29] არ სცოდნოდა ქართულად თარგმნილი ის ავტორი, რომელიც, ასევე, ცდილობდა მსგავსივე მიზ-

29 შდრ. თ. ირემაძე, ეფრემ მცირე – ფილოსოფოსი ღვთისმეტყველი, *გაზეთში*: „საპატრიარქოს უწყებანი", №22 (20 ივნისი – 3 ივლისი, 2019 წ.), გვ. 13-16.

ნების განხორციელებას (ქრისტიანობის დაკავშირებას პლატონურ ფილოსოფიასთან). უნდა ვიფიქროთ, რომ პეტრინი ასე იმიტომ მოიქცა, რომ ის სხვა ტიპის ფილოსოფიის შექმნას ცდილობდა. ქრისტიანული ფილოსოფიის პეტრინისეული მოდელი სხვაობს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოდელისგან. პეტრინთან ფილოსოფიას, მეტწილად, საკუთრივ ანტიკური ხასიათი აქვს.

შუა საუკუნეების ქრისტიანული ფილოსოფია აქტიურად იყენებდა ანტიკურ სიბრძნეს. ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთის დომინანტი ფილოსოფიური მიმდინარეობა ქრისტიანული ფილოსოფია იყო. აი, მაგალითად, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია ქრისტიანული ფილოსოფიაა. დასავლეთ საქრისტიანოშიც ქრისტიანული აზროვნება დომინირებდა, თუმცკი, მთელი დასავლური შუა საუკუნეების ფილოსოფიის ქრისტიანულ ფილოსოფიად სახელდება, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსაზრებას ფილოსოფიის ისტორიის ავტორიტეტული სპეციალისტები (მაგალითად, ეტიენ ჟილსონი) ავითარებდნენ, გამართლებული არ არის! ეს ფილოსოფიის ისტორიაში არის ევროპოცენტრული ხედვის ნაყოფი, რაც ძირეულად არასწო-

რია, რადგან შუა საუკუნეების დასავლურ ფილოსოფიასთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო ამავე ეპოქის არაბული და ებრაული ფილოსოფია.

ზემოთ პლატონის ფილოსოფია ქრისტიანული ფილოსოფიის კონტექსტში მოვიხსენიეთ. ქრისტიანული ფილოსოფიის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს ქმნის ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებები, რომლებიც ერთიანობაში „არეოპაგიტული კორპუსის" სახელითაა ცნობილი. ეს ტექსტები ქრისტიანული ნეოპლატონიზმის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. აქვე ერთმანეთისგან შეგვიძლია განვასხვავოთ „ნეოპლატონური" და „პლატონური" მოძღვრებები. „ნეოპლატონიზმი" გვიანდელი ტერმინია, რომელიც XVIII საუკუნის გერმანელმა ფილოსოფიის ისტორიკოსებმა დაამკვიდრეს (სხვათა შორის, უარყოფითი მნიშვნელობით, რადგან „ნეოპლატონიკოსებს" უწოდებდნენ „უცნაურ საგნებზე" მოსაუბრე და მეოცნებე მოაზროვნეებს). „პლატონიზმი" კი უფრო მომცველი ცნებაა, რომელიც მოიცავს ნეოპლატონიკოსებსაც და იმ მოაზროვნეებსაც, რომლებიც პლატონის გავლენას განიცდიდნენ, მაგრამ უშუალოდ „ნეოპლატონიკოსებად" არ იწოდებიან.

ნეოპლატონიზმი ფილოსოფიის ისტორიაში დიდი გავლენების წარმოშობის საფუძველი და მიზეზი გახდა. ეს გავლენები და მსგავსებები არა მხოლოდ შუა საუკუნეებზე (როგორც ეს ყველასთვისაა ცნობილი), არამედ უახლესი დროის მოაზროვნეებზეც იგრძნობა. მაგალითად, შეგვიძლია ვისაუბროთ ნეოპლატონიზმისა და გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის ფილოსოფიის არსებით მსგავსებაზე მრავალი ასპექტით, მაგრამ იმის ცდუნებამ არ უნდა გვძლიოს, რომ პირდაპირ გავაიგივოთ აზროვნების ეს ორი ტიპი ერთმანეთთან. აქედან გამომდინარე, ნეოპლატონიზმის ცნების განსაზღვრის დროს გარკვეული სიფრთხილე და მკაცრი ცნებობრივი განსაზღვრულობა გვმართებს.[30]

30 ნეოპლატონიზმისა და ჰეგელის ფილოსოფიის ურთიერთმიმართების შესახებ იხ. თ. ირემაძე, პროკლეს ფილოსოფიის ჰეგელისეული გაგება და მისი კრიტიკა შალვა ნუცუბიძის მიერ, *კრებულში*: ქართული აზროვნება – განათლების პრობლემები – ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია, რედაქტორ-შემდგენლები: თ. ირემაძე, ლ. ზაქარაძე, გ. ბარამიძე, მ. გოგატიშვილი, თბილისი, 2008, გვ. 10-15; თ. ირემაძე, შალვა ნუცუბიძე და ჰეგელის ფილოსოფიის გაგების ძირები საქართველოში, *კრებულში*: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. III, თბილისი, 2009, გვ. 10-14.

ნეოპლატონიზმი ანტიკური ფილოსოფიის ერთგვარი შეჯამებაა. მასში ანტიკური სიბრძნის საუკეთესო ნიმუშებმა მოიყარა თავი. მეტადრე, ფილოსოფიაში ის შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პლატონისა და არისტოტელეს ნააზრევის სინთეზი. ეს ჩანს პლოტინთან, იამბლიქოსთან, განსაკუთრებით კი, პორფირიოსთან, რომელმაც არისტოტელეს ფილოსოფიის ანალიზს თავისი სახელგანთქმული თხზულება „ისაგოგე" („შესავალი") მიუძღვნა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი სინთეზი პეტრიწთანაც შეგვიძლია ამოვიკითხოთ. ზემოთ აღინიშნა, რომ პეტრიწი არაერთხელ ახსენებს არისტოტელეს, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია სტაგირელი ფილოსოფოსის ნააზრევი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პორფირიოსს, რომელიც ნეოპლატონიკოსთა შორის არისტოტელეს მიმართ განსაკუთრებული ინტერესითა და სიმპათიით გამოირჩეოდა, პეტრიწიც საგანგებოდ ახსენებს და აციტირებს თავის კომენტარში – ოღონდ არა „ისაგოგეს", არამედ მის სხვა ნაშრომს, კერძოდ, „სენტენციებს". პორფირიოსის ფილოსოფია საუკეთესო მაგალითია არისტოტელეს გავლენისა ნეოპლატონიზმზე.

პეტრინის ფილოსოფიის ჭრილში პლატონისა და არისტოტელეს შედარებისა თუ შეპირისპირების ფონზე ისმის კითხვა: რა ადგილს იკავებს ამ კონტექსტში თავად პროკლე დიადოხოსი? პლატონისა და არისტოტელეს შეპირისპირებითი დახასიათების ფონზე, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, პეტრინი პროკლეს მოიხსენიებს გამოთქმით „ჩემიცა პავლე". იოანე პეტრინი პროკლეს პავლე მოციქულს პირდაპირ არ ადარებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გამოთქმით მან პროკლეს დიდი დამსახურება წარმოაჩინა ფილოსოფიის წინაშე: რამდენადაც ქრისტიანულ მოძღვრებაში, მის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა პავლე მოციქულმა, ამდენადვე მნიშვნელოვანი მოაზროვნე იყო ანტიკური ფილოსოფიისთვის პროკლე დიადოხოსი. მან ყველაზე ადეკვატურად გაიგო პლატონის ფილოსოფია: ერთი, რომლის შესახებაც პლატონი თავის დიალოგებში საუბრობდა, სწორედ პროკლემ წარმოადგინა მწყობრი ფილოსოფიური კონცეფციის სახით.

მიუხედავად იმისა, რომ პეტრინი თავის კომენტარებში არაერთხელ ახსენებს არისტოტელეს, ეს არ ხდება მისი კომენტარის იმ მონაკვეთში, რომელშიც შე-

მეცნების თეორიაა ჩამოყალიბებული („განმარტებაᲘ“, *თავები 160-211*). ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ პეტრინისთვის, ალბათ, ბოლომდე მისაღები არ იყო არისტოტელეს შემეცნების თეორიის ზოგიერთი ასპექტი.[31] არისტოტელესთან სულის მოძღვრება სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: სულის მოაზროვნე ნაწილი („ნუსი“) უკვდავია, ხოლო ის ნაწილი, რომელიც არსებულთა სიცოცხლეს განაპირობებს და ცხოველებსაც და მცენარეებსაც აქვს, მოკვდავია. სულის უკვდავების მთავარი წყარო კი სწორედ აზროვნებაა („ნუსი“).

საინტერესოა, თუ როგორ ტრანსფორმირდა არისტოტელეს შემეცნების თეორია ნეოპლატონურ ფილოსოფიაში. არისტოტელეს შემეცნების თეორიის მთავარი კატეგორია არის „ნუსი“, რომელიც არის „არა-რა“, ანუ ის არ არის სამყაროს ერთი-ერთი არსებულთაგანი, არამედ სამყაროს არსებულთა შემმეცნებელი

31 ფილოსოფიის ისტორიის მნიშვნელოვანი მოაზროვნეების მიმართ ამგვარი „დამოკიდებულება“ პეტრინთან არაერთხელ გვხვდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ასევეა ფსევდოდიონისე არეოპაგელის შემთხვევაშიც.

ინსტანციაა. სწორედ იმის საფუძველზე, რომ სამყაროს არსებულთაგან აბსოლუტურად განსხვავებულია, „ნუსს“ მათი შემეცნება შეუძლია. იმის გამო, რომ ის არ არის სამყაროს რომელიმე ერთი არსებული, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის უკვდავია. ნეოპლატონურ ტრადიციაში „ნუსი“ მკვეთრად დაუკავშირდა აზროვნების კატეგორიას, რომელიც, ერთი მხრივ, პლატონის იდეათა თეორიას, ხოლო, მეორე მხრივ, არისტოტელეს „ნუსის“ თეორიას ეფუძნება და მათი ტრანსფორმირებული სახესხვაობაა. აზროვნება სუბიექტიცაა და, ამავდროულად, საკუთარი თავის ობიექტიც. ის შეიმეცნებს საკუთარ თავს და რამდენადაც თავის თავში მოიცავს ყველა არსებულს, ამდენად, ის შეიმეცნებს მთელ სამყაროს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ის თავად არის ამ არსებულთა შემოქმედი: რამდენადაც არისტოტელეს პირველმამოძრავებლის კონცეფციის გავლენით, რომლის პირველი მოძრაობაც საკუთარი თავის შემეცნება ანუ თვითშემეცნებაა, ის თვითშემეცნების საფუძველზე სამყაროს არსთა შემოქმედია.

იოანე პეტრიწთან – ტრადიციული ნეოპლატონური მოდელის (ერთი, გონება, სული) კვალდაკვალ – „ნამ-

დვილმყოფი"-ს კატეგორიას ვხვდებით, რომელიც იმ არსთა სამყოფელია, ინტელიგიბელურ ხასიათს რომ ფლობენ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ, ზოგ შემთხვევაში, პეტრინი მას გონებასთანაც აიგივებს. ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: პეტრინი არის მოაზროვნე, რომლისთვისაც ყოფიერებისა და შემეცნების ნეოპლატონური სტრუქტურა სტატიკური კი არ არის, არამედ დინამიურია. აზროვნების პროცესში ხდება მრავალმხრივი „მოძრაობა" აზრებისა და იდეებისა, რადგან აზროვნებისა და შემეცნების პროცესი, ამავე დროს, თვითგააზრებისა და თვითშემეცნების პროცესიცაა. იოანე პეტრინის შემეცნების თეორია – სწორედ ამგვარი პრინციპების დამუშავებისა და ხაზგასმის გამო – შუა საუკუნეებში არსებული შემეცნების თეორიების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნიმუშია.

## §4. იოანე პეტრიწის მოძღვრება სულის შესახებ

ფილოსოფიური პრობლემა, რომელიც სულის სხეულთან კავშირს ეხება, იოანე პეტრიწის თეორიულ განაზრებათა ცენტრში მოექცა.[32] ეს პროკლესა და, საერთოდ, მთელი პლატონიზმის ინტენციითაც იყო

32 იოანე პეტრიწის ფილოსოფიის შესახებ იხ. T. Iremadze, Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus. Zur Rezeption der Proklischen Philosophie im deutschen und georgischen Mittelalter: Dietrich von Freiberg – Berthold von Moosburg – Joane Petrizi, Amsterdam – Philadelphia, 2004, გვ. 161-241; T. Iremadze, Joane Petrizi, in: Stanford Encyclopedia of Philosophy (*First published Tue Aug 29, 2006; substantive revision Fri Sep 13, 2019*): http://plato.stanford.edu/entries/joane-petrizi/; T. Iremadze, Joane Petrizi, in: *Philosophenlexikon*, hrsg. von S. Jordan und B. Mojsisch, Stuttgart, 2009 (zweite Auflage: Stuttgart, 2013), გვ. 285-286; T. Iremadze, Философия на авторефлексията при Иоане Петрици, in: *Християнство и култура*, # 33, София, 2008, გვ. 35-43; T. Iremadze, Filozofia autorefleksji Johannesa Petriziego, przełozył, Maciej Manikowski, in: *Studia Philosophica Wratislaviensia*, vol. VII, fasc. 1 (2012), Wrocław, 2012, გვ. 71-78.

განპირობებული, რადგან პლატონიკოსები და ნეოპლატონიკოსები ამ პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ. პლატონი თავის დიალოგებში ცდილობდა, რომ სული მისივე არსებიდან გამომდინარე გაეაზრებინა, მის სხვა ნაწილებთან შედარებით მისივე გონითი ნაწილის, ანუ გონების უპირატესობა გამოეკვეთა და ამით სულის უკვდავებაც დაემტკიცებინა.[33] პროკლემ „თეოლოგიის საწყისებში" ეს პრობლემატიკა განსაკუთრებული კვლევის საგნად აქცია.[34] ამ ნაშრომის 182-211 თავებში იგი დაწვრილებით (თანაც, აბსტრაქტული და სპეკულატური სახით, როგორც ეს საერთოდ ამ ნაშრომისთვისაა დამახასიათებელი) განიხილავს სულის, როგორც ასეთის, სახეებს, განსაზ-

33 შდრ. R. M. Hare, Platon. Eine Einführung, aus dem Englischen übers. von C. Goldmann, Stuttgart, 1998, გვ. 93-102.

34 იხ. T. Iremadze, Der intellekttheoretische Ansatz der Selbstreflexivität des Denkens gemäß Kapitel 168 der *Elementatio theologica* des Proklos und seine Deutung sowie Entfaltung im *Proklos-Kommentar* Bertholds von Moosburg, in: W. Geerlings / C. Schulze (Hrsg.), Der Kommentar in Antike und Mittelalter, Bd. 2: Neue Beiträge zu seiner Erforschung (Clavis Commentariorum Antiquitatis et Medii Aevi 3), Leiden – Boston, 2004, გვ. 237-253.

ღვრებებს, თავისებურებებს, იერარქიებს, „მატარებლებს“ და წრებრუნვებს.[35] პეტრიწი, როგორც პროკლეს მთარგმნელი და კომენტატორი, ამ ნაშრომისა და მისი ავტორის მთავარ ინტენციას ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება, თუმცკი, პროკლესეული თეზისების განვრცობასა და სრულყოფას ახდენს. სულის შესახებ პეტრიწისეულ განაზრებებს წითელ ზოლად გასდევს ბიბლიური ადამის ისტორია. პეტრიწის მიხედვით, ადამს (მისივე არაგონივრულობის გამო) სამოთხის დატოვება მოუხდა.[36]

ადამი აქ აღნიშნავს სულის იმ სახეს, რომელიც გონებას, მაშასადამე, მის საწყისს დაშორდა და სხეულს

35 იხ. იოანე პეტრიწი, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, გვ. 109-126.

36 ამ საკითხის შესახებ იხ. გ. ხუროშვილი, ნეოპლატონური მოძღვრებები სულის შესახებ და მათი პეტრიწისეული კონტექსტი, *წიგნში*: (ნეო)პლატონიზმი და თანამედროვეობა. თენგიზ ირემაძის წიგნისადმი – „აზროვნების კონცეფციები ნეოპლატონიზმში“ – მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. *გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 30 ივნისი, 2008 წელი*, რედაქტორ-შემდგენელნი: გ. ბარამიძე, მ. გოგატიშვილი, ლ. ზაქარაძე, უ. რ. იეკი, დ. ლეისი, თბილისი, 2009, გვ. 60-68.

დაუკავშირდა.[37] როცა სული სხეულებრივ განზომილებაში იმყოფება და გონებას განრიდებულია, მაშინ მისი ამქვეყნიური, დროითი არსებობა იწყება და ამიტომაც მას, პეტრიწის აზრით, მოსეს სიტყვები მიესადაგება: „რამეთუ შეიმოსაო ტყავებრი სამოსი".[38] სულის სამყაროსეული არსებობის ნიშნების ამოცნობა სხვადასხვა მოვლენებსა და ხდომილებებში განსხვავებული სახით შეიძლება, რადგან ყოველ სხეულს არ ძალუძს სულისმიერი ძალის საკმარისად, სრულყოფილად ფლობა. სხეული ნაწილებისაგან შედგება, რომელთა საწყისი, თავის მხრივ, ოთხი ელემენტია. აქედან გამომდინარე, არსებულთაგან ერთნი *უფრო მეტად* შეძლებენ სულისმიერი უნარების მიღებას, ხოლო მეორენი კი *უფრო ნაკლებად*.[39]

---

37 იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ გვ. 205.

38 იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ, გვ. 205.

39 შდრ. იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ, გვ. 205: „ესე ხედვაჲ მეტყჳს ჩუენ, ვითარმედ სამარადისოდ ერთ და იგივე ოქიმაჲ სულისაჲ, მით რომელ მიუდრეკელისა სულისა მიზეზისა მიერ აღიქმნების, ხოლო სხუად და სხუად იხილვების და იოცნების, მით რომელ სხუათა და სხუათა სხეულთა ეზრახვის კავშირებრივთა და ნივთიერთა; და ოდესმე ამის გუარ და სახე აჩნდების და ოდესმე ამის. რამეთუ მიიდებს კერპებრთა და

სულის ამქვეყნიურ არსებობაში დაცემა მისსავე ბუნებაშია საძიებელი. მისი აქტივობები დროში ხორციელდება და ცვლილებებით ხასიათდება, რადგან ის, რაც დროში არსებობს, მოძრაობასა და ცვლილებას ემორჩილება. მარადიული გონივრულობა სულის მთელ არსებას არ ახასიათებს, ეს მისი იმანენტური თვისება არ არის, რადგან სულს პერმანენტული, მუდმივი შემეცნება არ ძალუძს. სულს რომ მარადიული, მუდმივი შემეცნება შეეძლოს, მაშინ ის არსებულთა უმაღლესი და საერთო ინსტანცია იქნებოდა და, შესაბამისად, შემეცნების მარადიულ პროცესშიც იქნებოდა ჩართული. თუმცკი, ეს სულის ფაქტობრივი მდგომარეობა არ არის, რადგან სული „გონიერ თუალთ“ ყოველთვის ვერ ფლობს და, შესაბამისად, ხშირად, არაგონივრულობასთანაა წილნაყარი.[40]

ის მდგომარეობა, რომ სული *ხან შეიმეცნებს, ხან*

---

ზრქელთა სხეულთა სხუა გუარ და სხუა სახე აღმჩენელთა მისთა. ხოლო ოდეს რაჲ მოეგებოდის თჳთ თჳსდად და შეეყოფოდის თჳსსა მამასა გონებასა, ყოველთა ზედ შემოკერპებულთა სხეულთა განჰყრის თჳსგან და განწმენდილი ღმერთსა და მამასა აღეხების“.

40 იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ, გვ. 206.

*კიდევ* არა, იმის საფუძველი აღმოჩნდა, რომ მან, პეტრიწის აზრით, სამოთხე, მაშასადამე, „გონივრული გვარების სამყარო“ დატოვა. სწორედ აქ ჭვრეტდა ის არსებულთა თაურსაწყისებს და ინტელექტუალური შემეცნების პროცესში იმყოფებოდა.[41]

ამ კონტექსტში პეტრიწი იყენებს ტერმინებს „გონიერი გუარნი“ და „მზეთა გონიერთა“. ორივე ტერმინი არსებულთა თაურსაწყისებზე მიუთითებს. ამ გამოთქმებით აღნიშნული ჰიპოსტასები, ე.ი. არსებულთა იდეები, თავიანთ ადგილს გონიერთა სამყაროში იკავებენ.[42] ამის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ მეტაფორა „მზე“ პეტრიწთან, ისევე, როგორც მთელს პლატონიზმსა და ნეოპლატონიზმში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამ მეტაფორებში ნეოპლატონურ ტრადიციაში ფართოდ ცნობილი და გავრცელებული „სინათლის მეტაფორიკა“ უნდა დავინახოთ: ისე-

41 T. Iremadze, Die erkennende Seele des Menschen und ihre Funktion im *Proklos-Kommentar* von Joane Petrizi, in: «Quaestio», 15 (2015): The Pleasure of Knowledge, edited by P. Porro and L. Sturlese, Turnhout, 2015, გვ. 201-209.

42 შდრ. იოანე პეტრიწი, განმარტებაი, გვ. 206.

ვე, როგორც მზე ასხივებს თავის სხივებს და, ამის მიუხედავად, მაინც მათი მარადიული წყარო რჩება, ერთიც ასეა მრავალთან მიმართებაში. ერთიდან წარმოშობილი არსებულები სწორედ მასში ჰპოვებენ თავიანთ პრინციპსა და საწყისს. ეს ასეა პეტრიწის ფილოსოფიის შემთხვევაშიც. სიტყვა „მზე" პეტრიწის „განმარტებაჲ"-ს მკითხველს სახეცვლილი ფორმებით ძალზე ხშირად ხვდება, მათ შორის, როგორც „ზეარსებული ერთის" აღმნიშვნელი მეტაფორა. მაგალითად, პეტრიწი „განმარტებაჲ"-ს მე-15-ე თავში *ერთს* განმარტავს როგორც „ზესთა მზეს". იქვე იგი საუბრობს „ერთთა მზის" შესახებ, რომლითაც „ზესთა ერთი" აღინიშნება.[43] „განმარტებაჲ"-ს მე-8-ე თავში კი, პლატონის „ფედროსზე" დაყრდნობით, ერთისა და სიკეთის იდენტურობა მტკიცდება და სიკეთე ერთთა/ჰენადათა წყაროდ, მიზეზად არის მიჩნეული და „ზესთა გონებათა მზედ" იწოდება. მაშასადამე, მზის მეტაფორიკა იოანე პეტრიწის „განმარტებაჲ"-ში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და „ზესთა ერთის" მილ-

43 შდრ. იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ, გვ. 48-49.

მური არსებობის ხატოვანი დახასიათებისთვის გამოიყენება.[44]

პეტრიწის აზრით, სხეულებრივ, გრძნობად სამყაროში ჩამოსული სული „ფრთე-დაცვივნებულ ფრინველს" შეიძლება შევადაროთ. პლატონის „ფედროსიდან" აღებულ ამ მეტაფორას პეტრიწი თავისი „განმარტებაჲ"-ს 206-ე თავში განმარტავს. მასში იგი მეტაფორას „ფრთენი" გონების აღსანიშნავად იყენებს, იმ გონებისა, რომელიც სულის წინამძღოლია და მას შემეცნების უნარის მქონე არსებად აქცევს.[45] სული ცოდნას გონების მეშვეობით ეზიარება და მისი განსწავლაც მხოლოდ გონების მეშვეობითაა შესაძლებელი. გონება სულის პრინციპი და საწყისია და პეტრიწის მიერ „სულის მამად" მოიხსენიება.[46] შესაბამისად, სული შემეცნების ძალასა და უნარს გონებასთან ზიარებით იძენს და არცოდნიდან

44 აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მზის მეტაფორიკა შუა საუკუნეების ქართულ პოეზიაშიც სხვადასხვა სახით იყო გავრცელებული. აქ, საკმარისია, რომ მივუთითოთ შოთა რუსთაველის საყოველთაოდ განთქმულ პოემაზე „ვეფხისტყაოსანი".

45 იხ. იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ, გვ. 204.

46 იხ. იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ, გვ. 198.

ცოდნისაკენ მიემართება. ეს ეხება გრძნობად სამყაროში დაცემულ სულს, რომელმაც თავისი საწყისისეული პოზიცია დატოვა და, ამდენად, საკუთარი ჭეშმარიტი საუფლოს *კვლავგახსენებას* საჭიროებს.

სული, სხეულებრივ ყოფიერებასთან სპეციფიკური ზიარების გამო, გონებით სისრულეს ველარ ფლობს, უმაღლეს ერთს შორდება და სხეულს თავისივე თვითობის მატარებელ ეტლად იყენებს. აქედან გამომდინარე, სხეული, როგორც სულის „ოქემა" (ეტლი), *როგორლაც* ეზიარება მას.[47] ამდენად, სულის ამქვეყნად ჩამოსვლისა თუ დაცემის პროცესი ამქვეყნიურ არსებულთა ნამდვილი წარმოშობის პროცესად შეიძლება იქნეს აღქმული და გაგებული. ეს დასკვნა პეტრიწის „განმარტებაჲ"-ს მე-14-ე თავზე დაყრდნობით შეიძლება იქნეს გამოტანილი. მასში პეტრიწი არსებულთა სხვადასხვა სახეებს განიხილავს; ესენია: *უძრავი, თვითმოძრავი* და *სხვისგან*

47 „ოქემას" (როგორც სულის ეტლის) შესახებ მოძღვრება ცნობილი იყო შუა პლატონიზმშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ პორფირიოსი და ოლიმპიოდორე ამ მოძღვრებას იზიარებენ. ამის თაობაზე იხ. Th. Kobusch, Studien zur Philosophie des Hierokles von Alexandrien. Untersuchungen zum christlichen Neuplatonismus, München, 1976, გვ. 118-121.

*ამოძრავებული* არსებულები.[48] პეტრიწი – პლატონის „ფედროსსა“ და „ტიმაიოსზე“ დაყრდნობით – სულს განმარტავს როგორც *თვითმოძრავ სუბსტანციას*, რომელიც, როგორც სიცოცხლის წყარო, მოკვდავ და მარად ცვალებად სხეულებრივ არსებულებს სიცოცხლეს შთაბერავს, ხოლო ამით კი მთელ ხილვად სამყაროს აამოძრავებს და არსებობას ანიჭებს.[49]

ამქვეყნად ჩამოსული სული იმ უნარს ფლობს, რომ დაუბრუნდეს საკუთარ საწყისს. მისი უკან დაბრუნების საფუძველი მისივე ნაკლოვანი ცოდნაა, რომელიც აქ, ამასთანავე, პოზიტიურ მნიშვნელობას იძენს. ეს ვითარება, რომელიც სულის ამქვეყნიურ სტატუსს ასახავს, *პოზიტიურ ნეგატიურობად* გვევლინება, რადგან შემეცნების ნაკლოვანი ხასიათი, ამასთანავე, მისი აქამდე არარსებული თვითშემეცნების დასაწყისის საფუძველი ხდება. სწორედ სულის ეს *პოზიტიური ნეგატიურობა*, რომელიც მისსავე არცოდნასთანაა დაკავშირებული, ორ სამყაროს შორის კავშირის წყაროა: მხოლოდ ის უზ-

48 იხ. იოანე პეტრიწი, განმარტებაᲘ, გვ. 46.

49 იხ. იოანე პეტრიწი, განმარტებაᲘ, გვ. 47.

რუნველყოფს იმას, რომ დროში არსებული მოვლენებისა და მარადიული არსებულების სფეროთა დაკავშირება მოხდეს.[50] ამდენად, სული კოსმიურ წესრიგში მოსაშუალე პოზიციას იკავებს. სულის არსებობაში დაფარული *რეალური* დიალექტიკა, რომელიც მისივე *მარტივი*, თუმცკი, არა *უძრავი* (გონება), არამედ *თვითმოძრავი* ბუნების აღმნიშვნელად შეიძლება გამოდგეს, ზუსტად აჩვენებს მის სპეციფიკურ რაობასა და ფუნქციას. სული თავადვე ამოძრავებს თავისსავე თავს და, ამასთანავე, იმ არსებულებსაც, რომლებიც თავადვე ვერ ამოძრავდებიან. ამდენად, სული დროში არსებობს. უფრო ზუსტად რომ ითქვას, თავისი არსების მიხედვით, მა-

50 „პოზიტიური ნეგატიურობის" კატეგორია იოანე პეტრიწის „განმარტება»"-ს მიხედვით დაწერილებით მაქვს დამუშავებული ჩემს ზემოთ მითითებულ გერმანულენოვან მონოგრაფიაში – „აზროვნების კონცეფციები ნეოპლატონიზმში" (იხ. T. Iremadze, Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus, გვ. 202-206). ამ ასპექტს საგანგებო ყურადღება მიაქცია და სულის შესახებ ნეოპლატონური მოძღვრებები თანამედროვე რელიგიური აზროვნების კონტექსტში საინტერესოდ განიხილა გ. ხუროშვილმა თავის ზემოთ მითითებულ სტატიაში (იხ. გ. ხუროშვილი, ნეოპლატონური მოძღვრებები სულის შესახებ და მათი პეტრიწისეული კონტექსტი, გვ. 62-66).

რადიული, ზედროული სული თავის მოქმედებებსა და პროცესებს დროში ახორციელებს. მაშასადამე, სულიერი პროცესები დროით განზომილებაში გამოვლინდება. სულის აქტიურობის დროითი ხასიათი მის შემეცნებასა და თვითშემეცნებასაც ეხება: ის ნაბიჯ-ნაბიჯ შეიმეცნებს და შემეცნების ამ პროცესში თავის თავს შეიმეცნებს როგორც შემმეცნებელი. შემეცნების ამ პროცესით/პროცესში სული თავისსავე თვითობას უბრუნდება. შემეცნების ამ აქტით, რომელიც მისი საგნის (გონების) ირგვლივ წრებრუნვითი სახით ვლინდება, სული ახორციელებს უკუდაბრუნებას თავისსავე საწყისთან; ამის შედეგად ის *თავის თავთან არსებობს*. ეს სულის საკუთრივი ფუნქციაა: მის საწყისისეულ ადგილზე, ე.ი. გონებაში, სული არსებულთა ყველა გვარს თავის თავში მოიცავს, რათა სამყაროს მარტივი და ინტელექტუალური ჭვრეტა განახორციელოს.[51]

51 ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. T. Iremadze, Die Philosophie der Selbstreflexivität bei Joane Petrizi, in: Philosophy – Theology – Culture. Problems and Perspectives (Jubilee volume dedicated to the 75th anniversary of Guram Tevzadze), edited by T. Iremadze, T. Tskhadadze, G. Kheoshvili, Tbilisi, 2007, გვ. 66-78.

ეს განაზრებანი სულის შესახებ პლატონური მოძღვრების არსებით მოტივებს მოიცავს. პეტრიწმა სულის შესახებ თავის თეორიაში პლატონური თეორემების ინტენსიური ინტეგრირება მოახდინა, რა თქმა უნდა, თავისი და პროკლესეული სახეცვლილებებით. მიუხედავად ამისა, სულის შესახებ არსებულ ტრადიციულ კონცეპტებს იგი სპეციფიკურ ტრანსფორმაციასაც უქვემდებარებს.[52] მისივე „განმარტებაჲ"-ს მე-14-17-ე თავებში იგი სულის საკუთრივ აქტივობებს პლატონის „ფედროსსა" და „ტიმაიოსზე" დაყრდნობით ახასიათებს, ამ დიალოგებში განვითარებული მოსაზრებების პარაფრაზებს გვთავაზობს და შემდეგ მათ სულის შესახებ ბიბლიურ მოძღვრებასთან აკავშირებს. პეტრიწი სულის თავის თავთან უკუდაბრუნებას „ფედროსზე" დაყრდნობით ასე აღწერს: თუკი ის თავისივე არსებას ჭვრეტს, მაშინ ის, უწინარეს ყოვლისა, არსებულთა სიმრავლესა და ყოფიერთა შორის განსხვავებასაც იპოვის.

52 იხ. T. Iremadze, Zur Rezeption und Transformation der Aristotelischen und Proklischen Ursachenmodelle bei Joane Petrizi, in: *Archiv für mittelalterliche Philosophie und Kultur*, Heft XVII, hrsg. von T. Boiadjiev, I. Christov, G. Kapriev und A. Speer, Sofia, 2011, გვ. 96-111.

მისი იმანენტური ბუნების ღრმა ჭვრეტა სულს შესაძ-ლებლობას აძლევს, რომ მოხსნას სხვადასხვა გვართა შორის არსებული განსხვავებანი და საკუთარი ბუნება მიატოვოს.[53] პეტრიწი (პლატონური თეზისების ამ პა-რაფრაზების შემდეგ) განმარტავს და აზუსტებს საქმის ვითარებას და სულის ღმერთთან შერწყმას ახასიათებს როგორც მისი *ნოეტური* აქტიურობის შედეგს.

სულის შესახებ ნეოპლატონური მოძღვრება (სულის შესახებ ბიბლიურ მოძღვრებასთან შერწყმული სახით) ადამიანის შემეცნებითი უნარის დასაბუთებას ემსა-ხურება, რომელიც, თავის მხრივ, ცოდნის მყარ ელე-მენტებს ეფუძნება. ის, რომ სული თავის საფუძვლებს მიღმურ სამყაროში, ე.ი. გვართა *ნოეტურ* კოსმოსში ფლობს, პეტრიწის შემეცნების თეორიის კონტექსტში შემეცნების ბაზისური ელემენტების ყოველმხრივ და მუდმივ ხასიათს უზრუნველყოფს. ეს, ამასთანავე, ჭეშმარიტების (ე.ი. ნამდვილი ცოდნის) დროსა და სივ-რცეში არსებული საგნებისაგან დამოუკიდებლობაზე მიუთითებს, არსებულთა *ნოეტური* გვარების მუდმივი

53 იხ. იოანე პეტრიწი, განმარტებაი, გვ. 49.

სფეროს პირველადობას აფუძნებს და მათ შემეცნების ფუნდამენტად განსაზღვრავს.[54] პეტრიწი ამ სახით ცდილობდა ადამიანური ცოდნის აუცილებელი და საყოველთაო ხასიათის ჩვენებასა და უზრუნველყოფას. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, პეტრიწის ღირებულებათა თეორიასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება, რადგან სამყაროს ხდომილებათა მისეული შეფასება, საბოლოო ჯამში, კოსმიურ სტრუქტურათა ჭეშმარიტ ცოდნას ეფუძნება.[55]

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ იოანე პეტრიწმა ადეკვატურად გაიაზრა და გადმოსცა ნეოპლატონური, კერძოდ, პროკლესეული მოძღვრება სულის შესახებ.

54 პეტრიწის გვართა თეორიის ახალი ინტერპრეტაციის შესახებ იხ. T. Iremadze, Seiendes *versus* Sein. Zu einer neuen Interpretation der Gattungslehre von Joane Petrizi, in: Philosophy in Global Change. Jubilee volume dedicated to the 65th anniversary of Burkhard Mojsisch, edited by T. Iremadze in collaboration with H. Schneider and K. J. Schmidt, Tbilisi, 2011, გვ. 133-139.

55 იოანე პეტრიწის ღირებულებათა თეორიის ძირითადი ასპექტების შესახებ იხ. გ. თევზაძე, იოანე პეტრიწი ადამიანის დანიშნულების შესახებ, *ჟურნალში*: „ივერია. ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი", № 3, თბილისი-ბრიუსელი, 1993, გვ. 83-98.

ამის შემდეგ კი მან ამ მოძღვრების ბიბლიური ინტერ-პრეტაციაც განახორციელა. ამ პრობლემის ასეთი რეაქ-ტუალიზება მასთან ერთ ძირითად მიზანს ემსახურებო-და: იოანე პეტრინს სულისა და სხეულის ურთულესი ფი-ლოსოფიური პრობლემის იმგვარი გადაწყვეტა სურდა, რომელიც ქრისტიანული ფილოსოფიის კონტექსტშიც იქნებოდა აქტუალური. შეიძლება ითქვას, რომ მან ამ მიზანს მიაღწია კიდეც, რადგან ახალი დროის ქართუ-ლი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო აზროვნების წამყვანი წარმომადგენლები ამ კუთხით სწორედ იოანე პეტრინის მიერ გაკვალულ გზას მიჰყვებოდნენ.[56]

---

56 აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანმა (1658-1726 წწ.) პეტრინის პროკლეს კომენტარიდან მრავალი დებუ-ლება შეიტანა თავის სახელგანთქმულ თხზულებაში „სიტ-ყვის კონა“ („ლექსიკონი ქართული“). შემეცნების საკითხთა განსაზღვრისა და განხილვის დროს იგი იყენებს პეტრინის „განმარტებაჲ“-ს მე-20-ე თავს და გონებას განსაზღვრავს როგორც შემეცნების მარტივ და არასხეულებრივ ცოდნას. იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული II, ავ-ტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი, 1993, გვ. 366-367.

## §5. დასკვნა

იოანე პეტრიწის მოძღვრებას შემეცნების შესახებ ქართული ფილოსოფიის შემდგომი განვითარების პროცესზე დიდი გავლენა ჰქონდა. ამის ნათელი მაგალითია ახალი დროის ქართული ფილოსოფიის ისეთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, როგორიც ანტონ პირველი (1720-1788 წწ.) იყო.[57] ხსენებული პრობლემის განხილვისას ისიც პეტრიწის მიერ გაკვალულ გზას მიჰყვებოდა. ანტონ პირველი (ბაგრატიონი) საგანგებოდ ეხმიანება იოანე პეტრიწის მოძღვრებას შემეცნების შესახებ თავის ფილოსოფიურ ნაშრომში „სპეკალი" (1752 წ.); იგი ხშირად იმოწმებს და განიხილავს პეტრიწის თარგმანსა და კომენტარს პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საწყისებზე", საიდანაც იღებს ნეოპლატონური წარმოშობის მრავალ თეორემას შემეცნების შესახებ. ანტონმა პეტრიწის ნაშრომის ზოგიერთი თავი, რომე-

57 იხ. T. Iremadze, Die Philosophie der Selbstreflexivität bei Joane Petrizi, გვ. 75-77.

ლიც შემეცნების პრობლემის პროკლესეულ განხილვას ეხებოდა, თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა.[58]

„სპეკალის" ბოლო თავები პეტრიწს ეძღვნება. 148-ე და 149-ე თავებში ანტონ პირველი შემეცნების საკითხს განიხილავს პეტრიწის კომენტარის იმ თავებზე დაყრდნობით, რომლებიც *ნუსს* ეხება. პეტრიწის კვალდაკვალ, აქ ნათქვამია, რომ გონითი შემეცნება განსხვავდება სულისმიერი შემეცნების წესისგან. თავისი არსით გონების მოქმედება და სუბსტანცია ერთიანია, ხოლო სულის ბუნება კი განსხვავებულად ავლენს საკუთარ თავს. შესაბამისად, შეგვიძლია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ სულის არსება და მოქმედება, რადგან შემეცნება არ არის სულის პირველადი თვისება. შემეცნების დროს სული ერთი არსებიდან მეორეზე გადადის. ამგვარად შეძენილი ცოდნა მიიჩნევა შემეცნების განვითარების მთავარ საფუძვლად. გონებისმიერი შემეცნება კი განსხვავებულად უნდა დახასიათდეს, მისი მოქმედება ეფუძნება მარადიულ შემეცნებას, რადგან შემეცნება

58 ანტონ პირველი, სპეკალი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. დედაბრიშვილმა, თბილისი, 1991, გვ. 327-331.

გონების მთავარი, პირველადი საქმიანობაა. გონება შემეცნებას წარმოადგენს, ხოლო შემეცნება კი გონებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ანტონი შემეცნების კონცეფციის დამუშავებისას ინტენსიურად იყენებს პეტრიწის კომენტარის „ნოეტიკურ“ ტერმინოლოგიას. „ნოეტიკურის“ შესახებ მისი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური განსაზღვრებები შემუშავებული იქნა სწორედ პეტრიწზე დაყრდნობით. ანტონ პირველი მწვავედ აკრიტიკებდა „თეოლოგიის საწყისების“ სომხურ ვერსიას, რამდენადაც, მისი აზრით, ის არ წარმოადგენდა პროკლესა და პეტრიწის ნამდვილ მოძღვრებას. მის ნაშრომში „ღვთისმეტყველება“, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გამოცემული, იგი აცხადებს, რომ სომხურ ვერსიაში ნამდვილი მეტაფიზიკა შეერწყა ცრუ თეორიებს და, ამდენად, დამახინჯდა. მისი აზრით, კარგად უნდა იქნეს შესწავლილი „თეოლოგიის საწყისების“ ძველი (ე.ი. პეტრიწისეული) და არა ახალი (სომხური) ვერსია. რასაკვირველია, ანტონი პეტრიწს უჭერდა მხარს; მას სურდა, რომ გამოყენებული ყოფილიყო პროკლეს ფილოსოფიის პეტრიწისეული განმარტება და არა მისი თვითნებური ტრანსფორმაცია სომეხი და ქართველი ინტერპრეტატორების მიერ.

ანტონ პირველისაგან განსხვავებით, ახალი დროის ქართული თეორიული აზროვნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იოანე ბაგრატიონი (1768–1830 წწ.) თავის ნაშრომში „კალმასობა“ (1813-1828 წწ.), რომელიც დიალოგის ფორმით არის დაწერილი, ძირითადად, ეყრდნობოდა „თეოლოგიის საწყისების“ სომხურ კომენტარებს.[59] ერთისა და მისი დიალექტიკის განსაზღვრებისას იგი იმოწმებს ციტატებს პროკლეს ნაშრომის პირველი თავებიდან. გარდა ამისა, „კალმასობაში“ *ნუსის* შესახებ თავებიც (მაგალითად, *თავი 20*) სათანადოდაა გააზრებული. ამ ნაშრომში იოანე ბაგრატიონი „თეოლოგიის საწყისების“ ყველა თავის კომენტირებას არ ახდენს; საერთო ჯამში, მასთან მოცემულია 86 თავის კომენტარი.[60] აღსანიშნავია,

59 იოანე ბაგრატიონი, კალმასობა. ფილოსოფიური ნაწილი (ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები III), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. დედაბრიშვილმა, თბილისი, 1974.

60 იოანე ბაგრატიონის „კალმასობის“ ფილოსოფიური ნაწილის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ იხ. გ. დედაბრიშვილი, იოანე ბაგრატიონის „კალმასობის“ ფილოსოფიური ნაწილის გამოკვლევა და ლექსიკონი (ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები IV), თბილისი, 1974.

რომ იოანე ბაგრატიონი ორიგინალურად განმარტავს პროკლესა და პეტრიწის ნაშრომის ზოგიერთ პასაჟს; მიზეზობრიობის პრობლემის განხილვისას იგი განასხვავებს სამ მთავარ სახეს – ღმერთი, ბუნება და ხელოვნება – და ხაზს უსვამს ღმერთის უზენაესობას ყველა სხვა მიზეზთან მიმართებით. იოანე ბაგრატიონი იყენებს სიმეონ ჯ%ულაეცის კომენტარებს და ცდილობს განმარტოს პროკლეს და პეტრიწის ფილოსოფია ამ კომენტარების დახმარებით. მეტიც, იოანე ბაგრატიონმა, შემეცნების სხვადასხვა სახეებისა და ფუნქციების დახასიათებით, „თეოლოგიის საწყისების“ *ნოეტიკაში* სიცხადე შეიტანა და შემეცნებითი სული განსაზღვრა როგორც ადამიანის სპეციფიკური თვისება.

იოანე პეტრიწის ფილოსოფიის ზემოთ ნახსენები რეცეფციის ისტორია ნათლად აჩვენებს, რომ მან არა მარტო ადეკვატურად აითვისა „თეოლოგიის საწყისებში“ მოცემული პროკლე დიადოხოსის შემეცნების თეორია, არამედ ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში მისი უაღრესად ნაყოფიერი ტრანსფორმაციის გზებიც განსაზღვრა. უწინარეს ყოვლისა, ეს თავად პროკლეს მრავალწახნაგოვანი შემეცნების თეორიით იყო განპი-

რობებული, რომელიც აზროვნების პროცესის მრავალ-მხრივ აღწერასა და დახასიათებას მოიცავს. იოანე პეტ-რიწმა ამ კონცეფციას კიდევ უფრო კონკრეტული სახე მისცა და ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის ჭრილ-შიც განიხილა. ადამიანის შემეცნებითი აქტივობის წინა პლანზე წამოწევის გზით ადამიანური ყოფნის სპეციფი-კასა და თავისებურებაზე ხაზგასმაც მოხდა, რაც იოანე პეტრიწის ფილოსოფიის ერთ-ერთი არსებითი მოტივია. სწორედ აქედან ამოიზრდება ადამიანის სამყაროსეული, სოციალური და პიროვნული პასუხისმგებლობის პრობ-ლემაც, რომელიც ქრისტიანული ფილოსოფიის ქვაკუთ-ხედს წარმოადგენს. ამგვარი პასუხისმგებლობის გაც-ნობიერება კი საკუთარი თავის შეცნობის გზით მიიღ-წევა, რაც ანტიკური სიბრძნისმეტყველების მთავარი მოწოდება და მიზანი იყო. სწორედ ამიტომაც მიმართა პეტრიწმა პროკლეს „თეოლოგიის საწყისებს", ანტიკუ-რი სიბრძნისმეტყველების ამ უჭკნობ ნიმუშს და მისი შთამბეჭდავი განმარტების გზით წარუშლელი კვალი დატოვა საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში.

## SUMMARY


**Tengiz Iremadze**

**IOANE PETRITSI'S PHILOSOPHY**

Ioane Petritsi is a prominent figure in Georgian philosophy. His name is associated with the rise of Georgian philosophical thought in the Middle Ages. He largely determined the future of Georgian thought, and had a special impact on early-modern and twentieth-century Georgian philosophy. Thus, it is not surprising that there is still a great deal of interest in his work.

The "Archive of Caucasian Philosophy and Theology" of New Georgian University pays due attention to the study and analysis of the creative work of Ioane Petritsi. This book was written within the framework of this study. It contains the implications of Ioane Petritsi's philosophy that have hitherto not been properly presented, and pays particular attention to Petritsi's doctrine of being

and cognition. Beginning with Parmenides, the principle of the unity of being and thought was the fundamental principle of idealistic philosophy and was properly reflected in both Platonic and Neo-Platonic thought. This is a very important aspect in defining the specifics of Ioane Petritsi's philosophical thought and should not be overlooked, as his work on the analysis and commentary of Proclus' philosophy focuses on this most important theorem of ancient philosophical wisdom.

This monograph provides methodological guidelines and principles for understanding the philosophy of Ioane Petritsi, on the basis of which it is possible to adequately understand its specifics and peculiarities. At the same time, the socio-cultural and intellectual environment in which the philosophy of Ioane Petritsi was formed is outlined, and his relation to the ancient philosophical heritage is especially discussed. Also, Petritsi's attitude towards the philosophy of Plato, Aristotle and ancient Neo-Platonism is analyzed.

In the book, special attention is paid to Petritsi's cognitive theory, which is one of the most interesting

examples of cognitive theories in the Middle Ages due to the emphasis on the autonomous and creative nature of the mind. Various aspects of Petritsi's doctrine on cognition are discussed in the context of the relationship between soul and body, and the specifics of Petritsi's model of Christian philosophy are clearly demonstrated in the context of the Biblical transformation of Neo-Platonic doctrines on the soul.

The problem of the relationship between soul and body was one of the major issues in Ioane Petritsi's thought. This was caused by the theoretical intention of Proclus and of the whole Platonism in general, since Platonists and Neo-Platonists paid special attention to this problem. In his dialogues, Plato was trying to comprehend the soul in its essence. He tried to argue for the primacy of its reasonable over its other parts in order to prove its immortality. In "Elements of Theology", Proclus considered this issue as a subject of special study. In Chapters 182 to 211 of this work, he discussed, in the abstract and speculative manner that is typical of it in general, the forms, definitions, characteristics, hierarchy, circulation,

and so on, of the soul in detail. Petritsi, as a translator and commentator, followed the major intention of Proclus' work step by step; however, he extended Proclus' theses. Petritsi's reflections about the soul are accompanied by the history of the biblical Adam. Moreover, in this context he combined Neo-Platonic doctrines about the soul with biblical narratives and outlined original epistemological perspectives in Christian philosophy.

Ioane Petritsi's doctrine of cognition had a great influence on the further development of Georgian philosophy. A clear example of this is the work of such important representatives of modern Georgian philosophy as Anton I (1720-1788) and Ioane Bagrationi (1768-1830). These thinkers followed the path paved by Petritsi in discussing the above-mentioned issue.

Anton I (Bagrationi) referred to the cognitive theory of Ioane Petritsi. In his philosophical work "Spekali" (1752), he frequently examined and discussed Petritsi's translation and commentary on Proclus' "Elements of Theology", from which he drew many theorems of cognition of Neo-Platonic origin. Anton almost literally restated

many aspects of Petritsi's cognitive theory in his above-mentioned work. In his opinion, Petritsi's interpretation of Proclus' philosophy, instead of its arbitrary transformation by modern Armenian and Georgian interpreters, should have been used for teaching and research purposes.

Unlike Anton I, in his encyclopedic work "Kalmasoba" (1813-1828), which is written in the form of a dialogue, Ioane Bragationi relied mainly on the Armenian commentary of "Elements of Theology" when discussing relevant philosophical problems. In defining the One and its dialectic, he extensively quoted the first chapters of Proclus' work. In addition, the doctrine of the Nous is well discussed in "Kalmasoba". In his book, Ioane Bagrationi did not comment on all chapters of Proclus' "Elements of Theology"; in total, he only commented on 86 chapters of this work. It is noteworthy that Ioane Bagrationi effectively elucidated some passages of Proclus' and Petritsi's works, and that, when discussing the problem of causality, he distinguished God, nature, and art, and emphasized the supremacy of God over all other causes. Ioane Bagrationi used the comments

of Simeon Dzhugaetsi in order to explain Proclus' and Petritsi's works. Moreover, by characterizing the different types and functions of cognition, he clarified the noetics of "Elements of Theology" and defined the cognitive soul as a specific human trait.

The history of the reception of Ioane Petritsi's philosophy clearly shows that he not only adequately mastered Proclus' cognitive theory given in "Elements of Theology", but also determined the ways of its highly fruitful transformation in early-modern Georgian philosophy. His doctrine does not lose its relevance in the cognitive-theoretical and philosophical-historiographical perspectives of contemporary Georgian philosophy.

This book also includes a bibliography, listing the works on Ioane Petritsi's philosophy by the author of this book in Georgian and in foreign languages.

# ბიბლიოგრაფია

## თენგიზ ირემაძის შრომები იოანე პეტრიწის და მისი ფილოსოფიის რეცეფციის შესახებ

### (ა) ქართულენოვანი ნაშრომები


მყოფი თუ ყოფნა? (მეტარეფლექსიები იოანე პეტრიწის „განმარტებაᲘს“ შესახებ), *კრებულში*: ფილოსოფია – დიალექტიკა – ლოგიკა. სავლე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რედაქტორ-შემდგენელნი და წინათქმის ავტორები: ლ. ზაქარაძე, თ. ირემაძე, თბილისი, 2008, გვ. 105-110.

პროკლეს ფილოსოფიის ჰეგელისეული გაგება და მისი კრიტიკა შალვა ნუცუბიძის მიერ, *კრებულში*: ქართული აზროვნება – განათლების პრობლემები – ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია, რედაქტორ-შემდგენლები: თ. ირემაძე, ლ. ზაქარაძე, გ. ბარამიძე, მ. გოგატიშვილი, თბილისი, 2008, გვ. 10-15.

შალვა ნუცუბიძე და ჰეგელის ფილოსოფიის გაგების ძირები საქართველოში, *კრებულში*: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. III, თბილისი, 2009, გვ. 10-14.

ფილოსოფია და ღვთისმეტყველება, *ჟურნალში*: „უფლის ციხე", №2 (საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2012), გვ. 58-64.

(ნეო)პლატონიზმი და თანამედროვეობა. თენგიზ ირემაძის წიგნისადმი – „აზროვნების კონცეფციები ნეოპლატონიზმში" – მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 30 ივნისი, 2008 წელი, რედაქტორ-შემდგენელნი: გ. ბარამიძე, მ. გოგატიშვილი, ლ. ზაქარაძე, უ. რ. იეკი, დ. ლეისი, თბილისი, 2009.

საერო და საღვთო სიბრძნე შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში (ანონიმი ავტორი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი), *წიგნში*: თ. ირემაძე, ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები, თბილისი, 2013, გვ. 16-25.

ანტიკური ნეოპლატონიზმის ჰეგელისეული გაგება და მისი კრიტიკა შალვა ნუცუბიძის მიერ, *წიგნში*: თ. ირემაძე, ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები, თბილისი, 2013, გვ. 54-57.

მყოფი და ყოფნა, *წიგნში*: თ. ირემაძე, ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები, თბილისი, 2013, გვ. 60-65.

პითაგორა კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში, თბილისი, 2014.

ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში (ანონიმი ავტორი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი), *კრებულში*: ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში, კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი თ. ირემაძე, თბილისი, 2016, გვ. 8-20.

რას ნიშნავს რენესანსული ყაიდის მოაზროვნე? *წიგნში*: თ. ირემაძე, შუა საუკუნეების ქართული ფილოსო-

ფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად, თბილისი, 2019, გვ. 35-37.

„გელათური პროექტი“, *წიგნში*: თ. ირემაძე, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად, თბილისი, 2019, გვ. 40-42.

იოანე პეტრიწი და ფილოსოფიური ენის პრობლემატიკა, *წიგნში*: თ. ირემაძე, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად, თბილისი, 2019, გვ. 43-46.

იოანე პეტრიწი – ქართული ფილოსოფიის პარადიგმატული ავტორი, *წიგნში*: თ. ირემაძე, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად, თბილისი, 2019, გვ. 47-50.

იოანე პეტრიწის ფილოსოფია ქართული აზროვნების კონტექსტში, *წიგნში*: თ. ირემაძე, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად, თბილისი, 2019, გვ. 51-56.

იოანე პეტრიწი, ინგლისურიდან თარგმნა ბ. მაშავამ, თბილისი, 2019.

## (ბ) უცხოენოვანი ნაშრომები

Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus. Zur Rezeption der Proklischen Philosophie im deutschen und georgischen Mittelalter: Dietrich von Freiberg – Berthold von Moosburg – Joane Petrizi (Bochumer Studien zur Philosophie, Bd. 40), Amsterdam – Philadelphia: B. R. Grüner Publishing Company, 2004.

Der intellekttheoretische Ansatz der Selbstreflexivität des Denkens gemäß Kapitel 168 der *Elementatio theologica* des Proklos und seine Deutung sowie Entfaltung im *Proklos-Kommentar* Bertholds von Moosburg, in: W. Geerlings / C. Schulze (Hrsg.), Der Kommentar in Antike und Mittelalter, Bd. 2: Neue Beiträge zu seiner Erforschung (Clavis Commentariorum Antiquitatis et Medii Aevi 3), Leiden – Boston, 2004, S. 237-253.

Joane Petrizi, in: Stanford Encyclopedia of Philosophy (*First published Tue Aug 29, 2006; substantive revision Fri Sep 13, 2019*): http://plato.stanford.edu/entries/joane-petrizi/.

Die Philosophie der Selbstreflexivität bei Joane Petrizi, in: Philosophy – Theology – Culture. Problems and Perspectives (Jubilee volume dedicated to the 75th anniversary of Guram Tevzadze), edited by T. Iremadze, T. Tskhadadze, G. Kheoshvili, Tbilisi, 2007, S. 66-78.

Философия на авторефлексията при Иоане Петрици, in: *Християнство и култура*, # 33, София, 2008, pp. 35-43.

Joane Petrizi, in: *Philosophenlexikon*, hrsg. von S. Jordan und B. Mojsisch, Stuttgart, 2009 (zweite Auflage: Stuttgart, 2013), S. 285-286.

Zur Rezeption und Transformation der Aristotelischen und Proklischen Ursachenmodelle bei Joane Petrizi, in: Archiv für mittelalterliche Philosophie und Kultur, Heft XVII, hrsg. von T. Boiadjiev, I. Christov, G. Kapriev und A. Speer, Sofia 2011, S. 96-111.

Seiendes *versus* Sein. Zu einer neuen Interpretation der Gattungslehre von Joane Petrizi, in: Philosophy in Global Change. Jubilee volume dedicated to the

65th anniversary of Burkhard Mojsisch, edited by T. Iremadze in collaboration with H. Schneider and K. J. Schmidt, Tbilisi, 2011, S. 133-139.

Filozofia autorefleksji Johannesa Petriziego, przełozył, Maciej Manikowski, in: *Studia Philosophica Wratislaviensia*, vol. VII, fasc. 1 (2012), Wrocław, 2012, pp. 71-78.

On Christian Reception and Transformation of Plato's Practical Philosophy in Medieval Georgian Thought, in: *Das Gesetz. The Law. La Loi. 38. Kölner Mediaevistentagung 11.-14. September 2012*, Thomas Institut der Universität zu Köln, 2012, pp. 50-51.

Die erkennende Seele des Menschen und ihre Funktion im *Proklos-Kommentar* von Joane Petrizi, in: «Quaestio», 15 (2015): The Pleasure of Knowledge, edited by P. Porro and L. Sturlese, Turnhout, 2015, pp. 201-209.

The Pythagorean Doctrine in the Caucasus, in: Pythagorean Knowledge from the Ancient to the Modern World: Askesis, Religion, Science, edited by A.-B. Renger and A. Stavru (Episteme in Bewegung. Beiträge zu einer

transdisziplinären Wissensgeschichte, Bd. 4), Wiesbaden, 2016, pp. 411-422.

Philosophy and theology in medieval Georgian thought (Anonymous author, Ephrem Mtsire, Ioane Petritsi), in: Veritas et Subtilitas. Truth and Subtlethy in the Hinstory of Philosophy. Essays in memory of Burkhard Mojsisch (1944-2015), edited by T. Iremadze and U. R. Jeck, (Bochumer Studien zur Philosoophie, Bd. 59), Amsterdam – Philadelphia: John Benjamins Publishing Company, 2018, pp. 127-134.

Die *Elementatio theologica* des Proklos im Kontext der kaukasischen Philosophie, in: Reading Proclus and the *Book of Causes*, vol. 2: Translations and Acculturations, edited by D. Calma, Leiden – Boston, 2021, S. 139-153.

# სახელთა საძიებელი


აბულაძე, ი. 62
ადამი *ბიბლ.* 49
ანტონ პირველი 14, 63-66
არისტოტელე 21-27, 31-36, 38, 42-45

ბარამიძე, გ. 41, 49, 75-76
ბერთოლდ მოსბურგელი 11

გეორგიუს გემისტუს პლეთონი 37
გოგატიშვილი, მ. 41, 49, 75-76
გოგიბერიძე, მ. 9, 28

დედაბრიშვილი, გ. 64, 66
დოდსი; ე. რ. 10

ევსტრატე ნიკეელი 34
ემპედოკლე 35
ეფრემ მცირე 20, 38, 76

ზაქარაძე, ლ. 41, 49, 75-76

## სახელთა საძიებელი


თევზაძე, გ. 61

იამბლიქოსი 42
იეკი, უ. რ. 49, 76
იესო ქრისტე 25
იოანე ბაგრატიონი 14, 66-67
იოანე იტალოსი 11, 34
ირემაძე, თ. 7, 10-12, 14, 18, 20, 26-27, 29, 34, 38, 41, 49, 75-78

კარდინალი ბასილ ბესარიონი 37

ლეისი, დ. 49, 76

მარსილიო ფიჩინო 20, 37
მაშავა, ბ. 10, 78
მიქაელ ფსელოსი 11

ნემესიოს ემესელი 9
ნიკოლოზ მეთონელი 11
ნუცუბიძე, შ. 9, 29, 41, 75-77

ოლიმპიოდორე 55

პავლე მოციქული 16, 42

პარმენიდე 7, 35
პიეტრო პომპონაცი 37
პითაგორა 77
პლატონი 16, 21-23, 31-38, 40, 42-43, 45, 48, 53-54, 56, 59
პლოტინი 42
პორფირიოსი 42, 55
პროკლე 6-7, 9-17, 19, 23, 25, 27-28, 30, 41, 43, 47, 49, 59, 61-63, 65-68

ჟილსონი, ე. 39

სიმეონ პლინძაჰანეცი 13
სიმეონ ჯულაეცი 13, 67
სოკრატე 22, 35
სულხან-საბა ორბელიანი 62

უაიტჰედი, ა. ნ. 36

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 38-40, 44

ყაუხჩიშვილი, ს. 9

შოთა რუსთაველი 55

ხუროშვილი, გ. 49, 57

## სახელთა საძიებელი

ჰაინრიხ ბატე მეხელენელი 11
ჰეგელი, გ. ვ. ფ. 29, 41, 75-77

Adam *Bibl.* 72
Anton I (Bagrationi) 72-73
Aristotle 70

Berthold von Moosburg 18, 47-48, 79
Boiadjiev, T. 26, 59, 80

Calma, D. 14, 82
Christov, I. 26, 59, 80

Dietrich von Freiberg 18, 47, 79

Ephrem Mtsire 82

Geerlings, W. 48, 79
Gogiberidse, M. 28
Goldmann, C. 48

Hare, R. M. 48
Hierokles von Alexandrien 55

Ioane Bagrationi 72-73
Iremadze, T. 14, 18, 26, 47-48, 52, 57-59, 61, 63, 69, 80-82

Jeck, U. R. 82
Jordan, S. 47, 80

Kapriev, G. 26, 59, 80
Kheoshvili, G. 58, 80
Kobusch, Th. 55

Manikowski, M. 47, 81
Mojsisch, B. 47, 61, 80-82

Nikolaos von Methone 16
Nikolaou, Th. 37

Parmenides 70
Platon/Plato 48, 70-71, 81
Podskalsky, G. 16
Porro, P. 52, 81
Proclus/Proklos 14, 16, 48, 70-74, 79, 81-82

Schmidt, K. J. 61, 81
Schneider, H. 61, 81

Schulze, C. 48, 79
Simeon Dzhugaetsi 74
Speer, A. 26, 59, 80
Stavru, A. 81
Sturlese, L. 52, 82

Tevzadze, G. 58, 80
Tskhadadze, T. 58, 80

# საგანთა საძიებელი

ანტიკური ფილოსოფია 12, 16, 34, 37, 42-43
არაბული ფილოსოფია 40

ბიზანტიური რენესანსი 16

გელათი 19, 29

დიალექტიკა 21, 29, 57

ებრაული ფილოსოფია 40
ემანაცია 15, 21, 30

იგივე სხუაჲ 20/21, 28
იდეების თეორია 32, 34, 45

კავკასიური ფილოსოფია 5, 14

მამებრივი მიზეზი 27
მატერიალური მიზეზი 26
მიზეზოანი 20
მოქმედი მიზეზი 25

## საგანთა საძიებელი

ნამდვილმყოფი 45/46
ნეოპლატონიზმი 21, 29, 40-42, 49, 52, 57
ნოეტური/ნოეტიკა 60, 67
ნუსი 44-45, 64, 66

ოთხი მიზეზის სქემა 23-26
ოქემა 55

პირველმამოძრავებელი 45
პლატონიზმი 40, 47, 52, 55
პოზიტიური ნეგატიურობა 56-57

სუბსტანცია 35, 56, 64

ფილოსოფიის ისტორია 6
ფილოსოფიური ისტორიოგრაფია 7
ფილოსოფიური რენესანსი 37
ფორმალური მიზეზი 26

ქართული ფილოსოფია 5, 13, 39
ქრისტიანული ფილოსოფია 16, 27, 38-40, 62

ღვთისმეტყველება 18

შემოქმედებითი მიზეზი 26-27

ჰენადა 53

# ავტორის შესახებ

**თენგიზ ირემაძე** არის ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორი. 2003 წელს მან ბოხუმის რურის უნივერსიტეტში (გერმანია) მიიღო ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი. მისი კვლევის სფეროებია: ქართული და ევროპული ფილოსოფია, კავკასიური ფილოსოფია, ომის და მშვიდობის ფილოსოფია, სოციალური თეორიები. იგი არის „სტენფორდის ფილოსოფიური ენციკლოპედიის" ერთ-ერთი ავტორი და არაერთი ფილოსოფიურ-ლიტერატურული საზოგადოების წევრი. მისი სამეცნიერო გამოკვლევები გამოქვეყნებულია ქართულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ, ბულგარულ, პოლონურ და უკრაინულ ენებზე. თენგიზ ირემაძის მთავარი ნაშრომებია: „აზროვნების კონცეფციები ნეოპლატონიზმში. პროკლეს ფილოსოფიის რეცეფციის შესახებ ქართულ

და გერმანულ შუა საუკუნეებში: დიტრიხ ფრაიბერგელი – ბერთოლდ მოსბურგელი – იოანე პეტრიწი“ (გერმანულ ენაზე, ამსტერდამი – ფილადელფია, 2004 წ.); „ფრიდრიხ ნიცშე. „ესე იტყოდა ზარატუსტრა“: ტექსტი და კონტექსტი“ (თბილისი: „ნეკერი“, 2006 წ.); „ვალტერ ბენიამინი. ცხოვრება, მოღვაწეობა, აქტუალობა“ (თბილისი: „ნეკერი“, 2008 წ.); „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები“ (თბილისი: „ნეკერი“, 2013 წ.); „ალეთეიოლოგიური რეალიზმი. შალვა ნუცუბიძე და მისი აზროვნების ახლებური საწყისები“, გერმანულიდან თარგმნა გ. თავაძემ (თბილისი: „ნეკერი“, 2013 წ.); „პითაგორა კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში“ (თბილისი: „ნეკერი“, 2014 წ.); „ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფია და მისი გაგების პერსპექტივები“ (თბილისი: „ნეკერი“, 2015 წ.); „შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად“ (თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2019 წ.); „ახალი დროის ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად“ (თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2020 წ.).

## ABOUT THE AUTHOR

**Tengiz Iremadze** is Professor of Philosophy at New Georgian University and the Director of the Archive of Caucasian Philosophy and Theology. He earned his Doctorate degree at the Ruhr-University of Bochum (2003). His areas of interest include Georgian and European Philosophy, Caucasian Philosophy, the Philosophy of War and Peace, and Social Theory. He is the author of *Early Modern Georgian Philosophy. A Systematic Outline to Understand its Specifics* (Tbilisi: "Favorite Style", 2020, in Georgian), *Medieval Georgian Philosophy. A Systematic Outline to Understand its Specifics* (Tbilisi: "Favorite Style", 2019, in Georgian), *Friedrich Nietzsche's Philosophy and Perspectives of its Interpretation* (Tbilisi: Publishing House "Nekeri", 2015, in Georgian), *Pythagoras in the Context of Caucasian Philosophy* (Tbilisi: Publishing House "Nekeri", 2014, in Georgian), *Philosophy at the Crossroads of Epochs and Cultures* (Tbilisi: Publishing House "Nekeri", 2013, in Georgian), *Walter Benjamin. Life,*

*Work, Actuality* (Tbilisi: Nekeri Publishing House, 2008, in Georgian), *Der Aletheiologische Realismus. Schalwa Nuzubidse und seine neuen Denkansätze* (Tbilisi: Publishing House "Nekeri", 2008, in German. – 2013: in Georgian), *Friedrich Nietzsche. "Also sprach Zarathustra": Text and Context* (Tbilisi: Nekeri Publishing House, 2006, in Georgian), *Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus. Zur Rezeption der Proklischen Philosophie im deutschen und georgischen Mittelalter: Dietrich von Freiberg – Berthold von Moosburg – Joane Petrizi* (Bochumer Studien zur Philosophie, Bd. 40, Amsterdam – Philadelphia: B. R. Grüner Publishing Company, 2004). He has edited more than 70 books and published numerous articles. His works has been translated into 7 languages. He is a member of *The International Society for the Study of Medieval Philosophy*, *Lessing-Akademie*, *International Association of Patristic Studies*, and *Ernst-Meister-Gesellschaft*. He is the founder and current editor of 5 scientific series.

ISBN 978-9941-8-3091-4